სწორად სისხირეების დამთხვევა შეიძლება იყოს მზის სისტემაში შემჩნეული საყოველთაო სინქრონიზაციის კერძო შემთხვევები. ეს შედეგდება მრავალი ბიოსფერული და კოსმოსური რითმების ერთიანობაში [2]. ბიოლოგიასა და მედიცინაში ამ მოვლენას შემგუებლობას ან ადაპტაციას უწოდებენ. ამრიგად, ჩვენ გამოვდივართ იმ მოსაზრებიდან, რომ ბიოფიქტური სისხირეები არ არის შემთხვევითი მოვლენა, არამედ ისინი არიან რეზონანსული ორგანიზმის ავტორხვეითი სისტემები საკუთარი სისხირეების მიმართ.

მცირე ინტენსივობის მშ-თვის ადამიანის ორგანიზმის მკვეთრი გამოხმაურება დაიშორება სხვადასხვა სისხირეებზე. ზოგიერთ შემთხვევაში იგი ემთხვევა ღნმ-ის სპირალის რეზონანსულ სისხირეს [7]. ითვლება, რომ აქ ადგილი აქვს იძულებით რეზონანსს. ჩვენ შევეცდებით გამოვითვალოთ ეს რეზონანსული სისხირე ღნმ-ის მოლეკულისთვის.

განვიხილოთ რადიოტექნიკაში კარგად ცნობილი ტალღათსატარი, რომელიც წარმოადგენს ღრუ გრძელ გამტარს. ზოგჯერ სიღრუე შეესებულება დიელექტრიკული შეღწევადობის მქონე დიელექტრიკით. სიმარტივისთვის განვიხილოთ R-რადიუსის დიელექტრიკით შევსებული ღრუ ცილინდრული ფორმის მილი. თუ ასეთი მილის ერთ ბოლოზე დაცემა λ_0 ტალღის სიგრძის მქონე ელექტრომაგნიტური ტალღა, მაშინ, თუ λ_0 ნაკლებია გარკვეულ λ კრიტიკულ მნიშვნელობაზე, ტალღათსატარი ასეთ ტალღებს გაატარებს ცილინდრის გასწვრივ დიდი სიჩქარით და მცირე დანაკარგებით.

კრიტიკული ტალღის სიგრძე ცილინდრული მილის ტალღათსატარისთვის გამოითვლება ფორმულით [4]:

$$\lambda_{კრ} = a \cdot D \quad (4)$$


სადაც: a დამოკიდებულია ტალღათსატარის ფორმაზე. ცილინდრული მილებისთვის იგი 1,71-ის ტოლია, D კი ამ მილის დიამეტრია. როგორც ცნობილია, დიელექტრიკში მშ-ის სიჩქარე მცირდება და იგი ტოლია $v = \frac{C}{\sqrt{\epsilon}}$. აქ C - სინათლის სიჩქარე ვაკუუმში. ვაკუუმიდან დიელექტრიკში

გადასვლისას მშ-ის სისხირე არ იცვლება, მაგრამ იცვლება ტალღის სიგრძე $\lambda_{\epsilon} = V/v = C/v\sqrt{\epsilon} = \lambda_0/\sqrt{\epsilon}$. აქ λ_0 ტალღის სიგრძეა ვაკუუმში, ხოლო λ_{ϵ} - მოცემულ გარემოში. თუ ტალღათსატარი შევსებულია დიელექტრიკით, მაშინ ის გაატარებს ტალღებს, რომლებიც აკმაყოფილებს პირობას - $\lambda_{\epsilon} < \lambda_{\epsilonკრიტ}$, სადაც

$$\lambda_{\epsilonკრიტ} = 1,71 D\sqrt{\epsilon} \quad (5)$$

გამოვიყენოთ აღნიშნული პირობები, მაგალითად, ღნმ-ის მოლეკულისთვის. როგორც ცნობილია, დნმ-ის ორმაგი სპირალის რადიუსი

$R = 10^{-9}$ მ, ხოლო ერთი სრული ბიჯი დნმ-ის სპირალის გასწვრივ $\ell = 3,4 \cdot 10^{-9}$ მ და მოიცავს 10 ნუკლეინის მუკავას (სურათი 1).



სურ. 1. დნმ-ის ორმაგი სპირალი

კრიტიკული ტალღის სიგრძე $\lambda_{კრიტ}$ დნმ-თვის, თუ მას განვიხილავთ როგორც $R = 10^{-9}$, რადიუსის ცარიელი დრუ ტალღათსატარის ტოლი იქნება $\lambda_{კრიტ} = 3,42 \cdot 10^{-9}$ მ. $\lambda_{კრიტ} \approx \ell$, ე. ი. სპირალის ერთი ბიჯია. ეს დამთხვევა გვიჩვენებს, რომ დნმ-ში ტალღების გავრცელებას რეზონანსული ხასიათი აქვს.

როგორც ცნობილია, ელექტრული ველის ცვლილების სიხშირის ზრდისას ფარდობითი დიელექტრიკული შეღწევადობა მცირდება, ამის გამო სინათლის შემთხვევაში ϵ -ის ნაცვლად იყენებენ სინათლის გარდატეხის მაჩვენებელს $n = \sqrt{\epsilon}$, აღმასისთვის $n_{ალ} = 2,42$, ხოლო წყლისთვის $n_{წყ} = 1,33$. ბიოლოგიური მაკრომოლეკულებისთვის $n_{წყ} \leq n_{ბიო} \leq n_{ალ}$, ჩვენ ჩაეთვლით, რომ $n_{ბიო} = 2$. გარემოს გარდატეხის მაჩვენებელი, რომელშიც ისინია ჩაძირული, შეგვიძლია მიახლოებით მივიღოთ წყლის გარდატეხის მაჩვენებლად $n_{ელ} \sim 1,33$. როგორც ვხედავთ, სრულდება სრული შინაგანი არეკვლის პირობა $n_{ბიო} > n_{ელ}$, ე.ი. მაკრომოლეკულების კონას, რომელიც ჩაძირულია ასეთ ელექტროლიტურ გარემოში, გააჩნია სრული შინაგანი არეკვლის თვისება და მან შეიძლება შეასრულოს ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტალღათსატარის როლი. ნ. გოცირიძისა და ნ. კურდღელაიძის [1] მიხედვით, ბიოლოგიური მაკრომოლეკულების კონა დიამეტრით $D \geq 2 \cdot 10^{-7}$ მ, რომელიც ჩაძირულია ელექტროლიტურ გამტარ გარემოში, წარმოადგენს

სინათლის ტალღათსატარს და ამავე დროს, იგი არის ოპტიკური მაკრომოლეკულური ბოჭკო. ასეთი ოპტიკური ბიოლოგიური მაკრომოლეკულური ბოჭკო შეიძლება შეიქმნას ხელოვნური გზით და ისინი შესაძლებელია გამოვიყენოთ მედიცინაში, მაგალითად ოფთალმოლოგიაში.

დაგროვილი ექსპერიმენტული მასალის ანალიზი საშუალებას გვაძლევს საკმაოდ საფუძვლიანად მივიჩნიოთ, რომ ელექტრომაგნიტური ველები ინფრადიდიდან ულტრამაღალ სიხშირეებამდე გავლენას ახდენს ბიოლოგიურ პროცესებზე და შეიძლება მივიჩნიოთ, რომ მშვ-ები არსებით როლს ასრულებს ორგანიზმების ევოლუციასა და ცხოველმყოფელობაში.

ბუნებრივი მშვ-ების ინტენსივობები მცირეა, ხოლო მათი შესაბამისი ქვანტების ენერგიები მნიშვნელოვნად ნაკლებია kT -ზე. ამიტომ ნაკლებალბათურია, რომ მშვ იყოს ცოცხალი ორგანიზმებისთვის ენერჯის წყარო. უფრო რეალურია აზრი იმის შესახებ, რომ მშვ-ები ასრულებს ინფორმაციულ ფუნქციას ცოცხალ ბუნებაში. ინფორმაციული სიგნალები შესაბამისი კოდირების შემთხვევაში საჭიროებს მშვ-ის ენერჯის საკმაოდ მცირე რაოდენობას. ეს გარემოება კი განაპირობებს საინფორმაციო არხების ნაკლებად დაცულობას ანთროპოგენური ბუნების – ფონური შემოფოთებისგან.

ლიტერატურა

1. გოცირიძე ნ., კურდღელაიძე ნ.შ. ბიოლოგიური მაკრომოლეკულების ოპტიკური ბოჭკოები. თსუ-ის სამეცნიერო შრომათა კრებული, 2005/2006, ტ. XLI, გვ. 20-21.
2. Владимирский Б.М. и др. Космос и биологические ритмы. Симферополь. 1995.
3. Птицина Н.Г. Усп. физ. наук. 1998, 168, 7, 768-791.
4. Фейман Р., Леймон Р., Сендс Р. Феймановские лекции по физике – Электродинамика, 1961, 231 с.
5. Хабарова О.В. Биомедицинские технологии и радиоэлектроники. 2002, 5, 56-66.
6. Черепнев И.А. Системы управления навигации, 2007, 3, 118-124.
7. Weisburg S. Science News, 1984, 125, 16, 248.

ПАРАМЕТРИЧЕСКИЙ РЕЗОНАНС И БИОЭФФЕКТИВНЫЕ ЧАСТОТЫ

Н.Ш. Гоциридзе, А.Д. Цибадзе, Т.Н. Гоциридзе

ТГМУ, Департамент функциональной морфологии, Направление информатики, математики, биомеханики и кинезиологии

РЕЗЮМЕ

Показано, что биоэффективные для живых структур частоты внешней среды могут быть определены не только экспериментально, но и вычислены, исходя из теории параметрического резонанса. В качестве примера определена собственная и соответствующая резонансная частота для молекул ДНК.

Также рассмотрены условия, в которых пучок макромолекул можно считать оптическими волокнами. Диэлектрическая проницаемость ϵ_d пучка макромолекул относительно световых волн больше, чем диэлектрическая проницаемость электролитов ϵ_{el} . Неравенство $\epsilon_d > \epsilon_{el}$ является необходимым условием для того, чтобы погруженный в электролит пучок макромолекул с диаметром $- D$, выполнял роль оптического волокна. Исходя из этих условий, вычислен минимальный диаметр волокон макромолекул $D_{min} \approx 2 \cdot 10^{-7}$ м. Предусматривается возможность применения подобных волокон в медицине.

PARAMETRICAL RESONANCE AND BIOEFFECTIVE FREQUENCIES

N. Gotsiridze, A. Tsibadze, T. Gotsiridze

TSMU, Department of functional morphology, Direction of computer science, mathematics, biomechanics and kinesiology

SUMMARY

It has been shown that the bioeffective frequencies for living organisms environmental oscillations' can be revealed not only from experiments but also due to calculation on the base of parametrical resonance theory. As an example our own and corresponding resonant frequency for DNA molecule are defined.

Also conditions in which bunch of macromolecules are considered, it is possible to consider as optical fibres. Dielectric constant ϵ_d of a bundle of macromolecules to light is higher than dielectric constant of electrolytes ϵ_{el} . Inequality $\epsilon_d > \epsilon_{el}$ is the necessary condition for the D - diameter bundle of macromolecules immersed in electrolyte to play the role of optical fiber. The above given conditions enabled us to calculate the minimal diameter of a fiber if biological macromolecules: $D_{min} \approx 2 \cdot 10^{-7}$ m. The possibility of application of similar fibers in ophthalmology is provided.

ძვალ-სახსართა აპარატის ცეცხლნასროლი და ღია მოტეხილობების მკურნალობის თანამედროვე ასპექტები და პერსპექტივები

*ნ. ელიზბარაშვილი, მ. მშვიდლობაძე, კ. სირბილაძე,
ზ. ორაგველიძე, ი. ლათიბაშვილი*

აკად. ნ. ყიფშიძის სახ. ცენტრალური საუნივერსიტეტო კლინიკა

მიღებულია 15.09.2010

შესწავლილია ძვალ-სახსართა აპარატის სხვადასხვა ლოკალიზაციის ცეცხლ-ნასროლი და ღია მოტეხილობების კონსერვატული და ოპერაციული მკურნალობის შედეგები 190 ავადმყოფზე 13-92 წლის ასაკში (მამაკაცი 100; ქალი – 90). ცეცხლნასროლი მოტეხილობებით იყო 103 ავადმყოფი; ღია მოტეხილობებით – 87. კონსერვატული მკურნალობა, ჩონჩხოვანი დაჭიმვა, იმობილიზაცია თაბაშირით ჩაუტარდა 20 ავადმყოფს. არაკეროვანი ოსტეოსინთეზი ღეროვანი აპარატით განხორციელდა 71 ავადმყოფზე, ილიზაროვის აპარატით – 24-ზე. ღეროვანი აპარატზე ჭრილობების შეხორცების შემდეგ II ეტაპად შიდა ფიქსაცია ფირფიტით და სპეციალური ღეროებით ბრიჯინგით (ჩახიდვა) ელსიპით და პოლიაქსიალური გაუკეთდა 75 პაციენტს.

საკვანძო სიტყვები: ძვალ-სახსროვანი აპარატი, ცეცხლნასროლი და ღია მოტეხილობა, არაკეროვანი და კეროვანი ოსტეოსინთეზი, ღეროვანი აპარატი, შიდა ფიქსაცია ლითონის ფირფიტებით და სპეციალური ღეროებით

ძვალ-სახსართა აპარატის ცეცხლნასროლი და ღია მოტეხილობები თავისი სიხშირით, მკურნალობის სირთულით და ინვალიდობის მაღალი პროცენტით ტრავმატოლოგიის რთულ პრობლემად რჩება [1, 2, 3, 4].

ამ კონტინგენტის მკურნალობის ეფექტურობა დიდად არის დამოკიდებული მკურნალობის რაციონალური ტაქტიკის შერჩევაზე, სადაც გათვალისწინებული უნდა იყოს ორთოპედული პრობლემებიც – კიდურის საყრდენუნარიანობა, ტკივილის არარსებობა და ფუნქციის სრულფასოვნება, რაც განსაზღვრავს ავადმყოფის ცხოვრების ხარისხს და მის ადაპტაციას საზოგადოებაში.

ჩვენ მიზნად დავისახეთ შეგვესწავლა და გაგვეანალიზებინა აღნიშნული დაზიანებებით პაციენტთა სხვადასხვა მეთოდებით მკურნალობის

შედეგები და ამ საკითხზე ლიტერატურის მონაცემებთან შეჯერებით დაგვედგინა მკურნალობის ოპტიმალური მეთოდი.

შრომა ეფუძნება ჩვენს კლინიკაში (2005-2009 წწ.) ნამკურნალები 13-93 წლამდე სხვადასხვა ასაკში 190 ავადმყოფის შესწავლას (მამრობითი – 100, მდედრობითი – 90).

დაზიანების ხასიათის მიხედვით ცვეცხლნასროლი მოტეხილობებით იყო 103, ხოლო ღია მოტეხილობებით – 87 პაციენტი.

ავადმყოფთა განაწილება დაზიანების ლოკალიზაციის მიხედვით მოცემულია ცხრილში 1.

ცხრილი 1

ავადმყოფთა განაწილება დაზიანების ლოკალიზაციის მიხედვით

№	ლოკალიზაცია	რაოდენობა
1	კოჭ-წვივის ძვლები	63
2	წვივის ძვლები	50
3	ბარძაყის ძვალი	44
4	მხრის ძვალი	14
5	წინამხრის ძვლები	12
6	კვირისტავი	7
სულ		190



ცხრილი 2

მკურნალობის მეთოდები

№	მკურნალობის მეთოდები	ოპერაციების რაოდენობა
1	კონსერვატული ჩონჩხოვანი დაჭიმვა, თაბაშირი	20
2	არაკეროვანი ოსტეოსინთეზი ილიზაროვის აპარატით	24
3	არაკეროვანი ოსტეოსინთეზი კომპანია "სინთეზის" მწარმოებელი ღეროვანი აპარატით	71
4	კეროვანი ოსტეოსინთეზი ლითონის კონსტრუქციებით (ფირფიტა, სპეციალური ღეროებით)	75
სულ		190

ოპერაციული მკურნალობის ძირითადი მეთოდი იყო არაკეროვანი ოსტეოსინთეზი "AO"-ს ტიპის ღეროვანი და ილიზაროვის კომპრესიული დისტრაქციული აპარატით. ღეროვან აპარატს, რომელიც ედებოდა ორ სიბრტყეში, ჩარჩოს შეკერის მიზნით ვამატებდით 2 ღერძს (სურ. 1). მიღებული მყარი, სტაბილური ოსტეოსინთეზი გვაძლევდა კიდურის ადრეული დატვირთვის საშუალებას პირველი კვირიდან. "AO"-ს რეკომენდაციით და უცხოური ლიტერატურის მონაცემებით, ღეროვანი აპარატი ითვლება პირველადი ფიქსაციის საშუალებად. ჭრილობის შეხორცების შემდეგ კეთდება აპარატის დემონტაჟი და კეროვანი ოსტეოსინთეზი სხვადასხვა ტიპის ლითონის

ფირფიტებით ან სპეციალური ღეროებით. ამგვარი მკურნალობა ჩაეუტარეთ 75 პაციენტს. გამონაკლის შემთხვევაში, როცა ავადმყოფები არ გეთანხმებოდნენ ინტრამედულურ ოპერაციაზე, ძელის კონსოლიდაცია მიგვეყავდა ბოლომდე.



სურ. 1. ბარძაყის ძელის ცეცხლნასროლი დამსხვრეული მოტეხილობა რენტგენოგრაფია ოპერაციამდე



სურ. 2. ბარძაყის ძელის ცეცხლნასროლი დამსხვრეული მოტეხილობა ოპერაციამდე და ოპერაციის შემდეგ

მკურნალობის ჩვენი ტაქტიკა: ცეცხლნასროლი და ღია მოტეხილობების დროს, როგორც წესი, ვახდენდით ჭრილობის დაბანვას 72% საპნის ქაფით. სტერილური საფენებით გამშრალების შემდეგ ვახორციელებდით გამორეცხვას ბეტადინის ხსნარით და ჭრილობების ქირურგიულ დამუშავებას, ნეკრექტომიებს ჯანმრთელი ქსოვილების ფარგლებში, ვრცელ ფასციოტომიას. ჭრილობებს ვატამოვნებდით ფაშრად ბეტადინ-ლევომიკოლის მალამოთი. ჭრილობის მიმდებარე კანს ვრცელი ზედაპირული დაზიანების დროს (სისხლჩაქცევები, ექსკორიაციები) ვაფენდით ბეტადინის მალამოთი გაუდენთილ საფენებს, რითაც ვაღწევდით კანის გასუფთავებას, გაჯანსაღებას. ჭრილობის პირველადი დამუშავების დროს ვიღებდით ნაცხს ბაქტერიული ფლორის დასადგენად, რის მიხედვით ვახორციელებდით მიზანმიმართულ ანტიბიოტიკოთერაპიას.

ძვლის რევენერაციის გააქტიურებისა და სახსრებში კონტრაქტურების პროფილაქტიკის მიზნით, აპარატით ვარეგულირებდით კომპრესია-დისტრაქციას, სახსრებში მოძრაობების დამუშავებას, კიდურის ადრეულ დატვირთვას. ამ მეთოდით მკურნალობის არც ერთ შემთხვევაში ჭრილობის დაჩირქება ან სხვა რაიმე გართულება არ დარეგისტრირებულა.

ცეცხლნასროლი და ღია მოტეხილობების მკურნალობის შედეგები შესწავლილი იყო ყველა ავადმყოფზე პირველი დღეებიდან სამ წლამდე ვადებში კლინიკურ-რენტგენოლოგიური მეთოდებით და შეფასებული ბალური სისტემით:

- 5 ბალი - მოტეხილობა შეხორცებულია, ლოკომოტორული დარღვევები ან დისკომფორტი კიდურის ფუნქციაში არ არის,
- 4 ბალი - მოტეხილობა შეხორცებულია, კიდურის ფუნქცია უმნიშვნელოდ შეზღუდულია,
- 3 ბალი - ძვლის ღერძი გამრუდებულია, კიდურის ფუნქცია დარღვეულია,
- 2 ბალი - განვითარდა გართულება.

არაკეროვანი ოსტეოსინთეზით პირველადი ფიქსაციისას შემდგომი ინტრამედულური ოსტეოსინთეზით ლითონის ღეროებით 60 ავადმყოფს შედეგები შეუფასდა 5 ბალით: 14 ავადმყოფს - 4 ბალით, 1 პაციენტს განუვითარდა სველი განგრუნა წვივის არტერიის ანევრიზმის გამო. კონსერვატულად ნამკურნალები 20 ავადმყოფიდან მკურნალობის შედეგი 5 ბალით შეეფარდა 15 ავადმყოფს, 2 ბალით - 1, 3 ბალით - 3 ავადმყოფს.

ჩვენი მასალის რეტროსპექტული ანალიზისა და სინთეზის საფუძველზე შეიძლება დაბეჯითებით ვთქვათ, რომ არაკეროვანი ოსტეოსინთეზი ღეროვანი აპარატებით წარმოადგენს პირველადი ფიქსაციის საიმედო საშუალებას, რომლის პირობებში გაადვილებულია პაციენტის მოვლა კლინიკაში, განსაკუთრებით მაშინ, თუ ავადმყოფი იმყოფება რეანიმაციულ განყოფილებაში მართვით სუნთქვაზე ან არაადეკვატურია. თავისუფლად შეიძლება პაციენტის გადატრიალება, პოზიციის შეცვლა, ტუალეტი, ნაწოლის პროფილაქტიკა, რეაბილიტაციის დაწყება და სხვ. აპარატი ქმნის ოპტიმალურ პირობებს ჭრილობის მოვლისა და გართულებების თავიდან აცილებისთვის; ამასთან გვაძლევს შესაძლებლობას ვმართოთ ძვლის

შეხორცების პროცესები სასურველი მიმართულებით. კომპრესია-დისტრაქციის დოზირებული რეგულირებით განაპირობებს დადებით დინამიკას სახსრებში მოძრაობების ამპლიტუდის ნორმალიზაციაზე. კუნთების ტონუსზე, ნეიროვეგეტაციური, სისხლძარღვთა ნორმალური ფუნქციონის პროცესსა და მთლიანად ლოკომოტორული აპარატის აღდგენასა და მის სრულყოფაზე. ჩვენს ამ მოსაზრებას იზიარებენ სხვა ავტორებიც [2, 3, 4]. ამასთან, დადებით გავლენას ახდენს მკურნალობის მე-2 ეტაპის – ინტრამედულური ოსტეოსინთეზის საბოლოო შედეგებზე.

ცეცხლნასროლი და ღია მოტეხილობებით ავადმყოფთა კლინიკაში დროული, ეფექტური და მიზანმიმართული ორგანიზაციული, სამკურნალო და სარეაბილიტაციო ღონისძიებების კომპლექსური განხორციელება ამ მძიმე კონტინგენტის მკურნალობის შედეგების ოპტიმიზაციის აუცილებელი პირობაა.

ლიტერატურა

1. *Баширов Р.С., Ли А.Д.* Руководство по чрезкостному компрессионно-дистракционному остеосинтезу. Томск, 2002.
2. *Мирзоян А.Э., Курбан Д.А.* М.И. 2006, 200 с.
3. *De Bastiani G.* Orthofix External Fixation Trauma and Orthop. Hardcover, 2000.
4. *Papkov A.V.* Transosseus Osteosynthesis, Kurgan, 2006.

СОВРЕМЕННЫЕ АСПЕКТЫ И ПЕРСПЕКТИВЫ ЛЕЧЕНИЯ ОГНЕСТРЕЛЬНЫХ И ОТКРЫТЫХ ПЕРЕЛОМОВ КОСТНО-СУСТАВНОГО АППАРАТА

*Н. Елизбарашвили, М. Мишвидобаძე, К. Сирбиладзе, З. Ораგвелиძე,
 И. Латибашвили*

Центральная Университетская клиника им. акад. Н. Кипшидзе

РЕЗЮМЕ

Изучены результаты консервативного и оперативного лечения огнестрельных (103) и открытых (87) переломов различной локализации на 190 больных (мужчин 100, женщин – 90). Консервативное лечение (скелетное вытяжение, гипс) проведено 20 больным. Внеочаговый остеосинтез стержневым аппаратом осуществлен 71 больным, аппаратом Илизарова – у 24. При данном виде повреждения, в первую очередь, тщательно обрабатывали раны 72% мыльным раствором, вымывали раствором бетадина и накладывали салфетки с бетединовой мазью. С раны брали мазки с целью установления микробной флоры и проводили целенаправленную терапию. Осуществляли дозированную, аппаратную регуляцию процессов компрессии и дистракции, что способствовало нормализации амплитуды движения в суставах и создавались условия для полноценного сращения перелома. После сращения ран осуществляли демонтаж аппарата и очаговый остеосинтез металлическими пластинками или специальными стержнями. В тех случаях,

когда больные отказывались от интрамедулярного остеосинтеза по экономическим или другим соображениям, лечение продолжалось на аппарате внешней фиксации до полного сращения перелома.

MODERN ASPECTS AND PERSPECTIVES OF OPEN FRACTURES AND GUNSHOT WOUNDS TREATMENT OF BONE-ARTICULAR SYSTEM

N. Elizbarashvili, M. Mshvidobadze, K. Sirbiladze, Z. Oragvelidze, I. Latibashvili

N. Kipshidze Central University Clinic, Tbilisi, Georgia

SUMMARY

The results of the treatment of open fractures and gunshot wounds of bone-articular system were examined on 190 sick, 13-92 aged (100 – men, 90 – women) persons. Total of 82 patients were treated using conservative methods (skeleton strain, immobilization with gypsum). To 71 patients were made extrafocal osteosynthesis by "AO"s stalked apparatus, while to 24 – by Ilizarov apparatus and to 13 patients – focal osteosynthesis with metal constructions (plates, screws, sticks).

The results of the treatment have been studied using clinical-X-ray dosimetry methods and are estimated according to the score system. By retrospective test is ascertained the advantage of extrafocal osteosynthesis. This method creates optimal conditions for wounds' systematical control and care, for study of microflora and purposeful effective antibiotic therapy. Herewith, compression-destruction process management, kinesotherapy and extremities work in early period avoids contraction in joints and is early and valuable guarantee of patient's rehabilitation.

საქ. მეცნ. ეროვნ. აკად. მაცნე, ბიომედ. სერია, 2010, ტ. 36, № 5-6
Известия нац. АН Грузии, биомед. серия, 2010, т. 36, № 5-6
Proc. Georgian Nat. Acad. Sci., Biomed. Series, 2010, vol. 36, No 5-6

ISSN-0321-1665

ფიზიკური ვარჯიშების აღრეული ინტერვენციის ოქმეტრობა ცერებრული დამბლის პირობებში

ე.გ. მურვანიძე, მ.ჯ. გაბუნია

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, უმაღლესი სამედიცინო სკოლა
“აიეტი”, თბილისი

მიღებულია 02.12.2010

შესწავლილ იქნა რეგულარული ადეკვატური ფიზიკური ვარჯიშების ეფექტრობა ცერებრული დამბლის სპასტიკური ფორმის შემთხვევებში. დადგინდა, რომ აღრეული ინტერვენცია მნიშვნელოვნად აუმჯობესებს ამ ბავშვების ფუნქციურ დამოუკიდებლობას.

საკვანძო სიტყვები: GMFM – მსხვილი მოტორული ფუნქციის შეფასების ტესტი, P-S გადაბრუნება პრონაციიდან სუპინაციისაკენ, S-P გადაბრუნება სუპინაციიდან პრონაციისაკენ

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ გამოქვეყნებული უკანასკნელი მონაცემებით, მსოფლიოში არის დაახლოებით 600 მილიონი შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანი. ამავე ორგანიზაციის მონაცემებით, აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში განვითარებითი უნარშეზღუდულობა აღენიშნება ბავშვთა 10%-ს.

უნარშეზღუდულობის გამომწვევე მიზეზთა შორის მოტორული სფეროს პრობლემები ერთ-ერთი უხშირესი დარღვევაა. დამოუკიდებლად გადაადგილების შეზღუდვა სერიოზულ პრობლემებს უქმნის პიროვნებას და მნიშვნელოვანწილად ამცირებს მისი ცხოვრების და ფუნქციური დამოუკიდებლობის ხარისხს [5]. უნარშეზღუდულობის ხარისხის შემცირებით შესაძლებელია პაციენტის ცხოვრების ხარისხის და სოციალური აქტიურობის გაუმჯობესება, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვის და მისი ოჯახის როგორც ფსიქო-ემოციური კლიმატის გაჯანსაღება, ასევე ეკონომიკური დანახარჯების შემცირება.

ცერებრული დამბლა კრებითი ცნებაა იმ მრავალი სახის დარღვევების აღსანიშნავად, რომელიც იწვევს ბავშვის მოძრაობის, პოზის და წონასწორობის შენარჩუნების უნარის მოშლას. მოტორული დარღვევების გარდა, ცერებრულ დამბლას ყოველთვის ახლავს თავის ტვინის ფუნქციის

სხვა დარღვევებიც, მათ შორის მხედველობის, ინტელექტის, სმენის, მეტყველების, ყურადღების და ქცევის პრობლემები.

მრავლობითი პრობლემების არსებობის გამო, მკურნალობა საჭიროებს მულტიდისციპლინურ, გუნდურ მიდგომას. გუნდის შემადგენლობაში უნდა შედიოდეს: ექიმი-ნევროლოგი, ფსიქოლოგი, სამკურნალო ფიზიკულტურის სპეციალისტი, ოკუპაციური თერაპევტი, ლოგოპედი, ორთოზისტი და სხვ. [4].

მოტორული უნარების გასაუმჯობესებლად ტარდება ფიზიკური ვარჯიშები, რომელიც სხვადასხვა რეჟიმებით და სხვადასხვა ეფექტურობით გამოიყენება. ითვლება, რომ სპეციფიკური ფიზიკური ვარჯიშები მნიშვნელოვნად აუმჯობესებს ბავშვის ფუნქციურ დამოუკიდებლობას [1, 2, 3].

ჩვენი კვლევის მიზანს წარმოადგენდა დაავადების ადრეული გამოვლენისას ფიზიკური ვარჯიშების ეფექტურობის დადგენა. ამ მიზნის განსახორციელებლად დაკვირვებას ვახდენდით ცერებრული დამბლის მქონე 11 ბავშვზე, რომლებსაც ფიზიკური ვარჯიშები დაეწყოთ 6 თვიდან 1 წლამდე ასაკში და უგრძელდებოდათ 2 წლის განმავლობაში.

მასალა და მეთოდები

დაკვირვება ჩატარდა თბილისის ბავშვთა ნევროლოგიისა და ნირორეაბილიტაციის სამკურნალო-საგანმანათლებლო ცენტრში. მათი შეფასება ხდებოდა ექიმი-ნევროლოგის მიერ, რომელიც საზღვრავდა ბავშვის დიაგნოზს და ცერებრული დამბლის სიმძიმის ხარისხს. ამ ბავშვებს უტარდებოდათ დაავადების სიმძიმის შესაფერისი ჩვენ მიერ შემუშავებული დოზირებული სპეციფიკური ფიზიკური ვარჯიშები, ხოლო მშობელს ეძლეოდა რეკომენდებული ვარჯიშები ბინაზე გამოყენებისთვის. დაკვირვება გრძელდებოდა 2 წლის განმავლობაში. მკურნალობის რეჟიმი მოიცავდა წელიწადში 4 ეტაპს, ხოლო თითოეული ეტაპის ხანგრძლივობა იყო 20 პროცენტურა. ყოველი ეტაპის შემდეგ ხდებოდა მოტორიკის შეფასება GMFM სკალით და ფასდებოდა ბავშვის უნარები. სრული ანალიზი ტარდებოდა ყოველი 1 წლის შემდეგ:

- თავის კონტროლი,
- ბრუნვა,
- ჯდომა / წამოჯდომა,
- ოთხზე დგომა და გადაადგილება,
- მუხლებზე დგომა და გადაადგილება,
- წამოდგომა/დგომა,
- სიარული.

შედეგები და მათი განხილვა

პირველ ცხრილში ნაჩვენებია იმ ბავშვების მონაცემები, რომლებმაც დაიწყო მკურნალობა 6 თვიდან 1 წლამდე ასაკში. აქვეა მითითებული მათი ფუნქციური შესაძლებლობები. ჯგუფის ერთგვაროვნებისთვის შეირჩა ისეთი ბავშვები, რომელთაც ჰქონოდა საშუალო სიმძიმის სპასტიკური ცე-

ცხრილი 3 (გაგრძელება)

უნარები		1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11
წამოჯდომა	ყრდნობით	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
	პრონირებით	+	-	+	-	-	-	+	-	-	-	-
ოთხზე დგომა და გადაად- გილება	დგას	+	-	+	+	+	+	+	+	+	+	+
	რეციპროკულად	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
	არარეციპროკული	+	-	+	-	+	-	+	+	-	+	+
მუხლებზე დგომა და გადაადგილება		-	-	-	+	-	-	-	-	-	-	-
წამოდგომა	ერთი ფეხის გამოტანით	-	-	-	-	-	-	-	-	+	-	-
	დათვის პოზიციიდან	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
	საყრდენით	+	-	+	-	-	+	+	-	-	+	+
დგომა	საყრდენით	+	-	+	+	-	+	+	+	+	+	-
	დამოუკიდებლად	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
სიარული	საყრდენით	+	-	+	+	-	+	+	+	+	+	+
	დამოუკიდებლად	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
	დამხმარე საშუალებით	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-

აღნიშვნები: + შეუძლია, - არ შეუძლია

ცხრილი 4

ტესტის შედეგი მკურნალობის დაწყებამდე, მკურნალობის პროცესში
და ორწლიანი მკურნალობის შემდეგ

პაციენტი	მკურნალობამდე	1 წლის შემდეგ	2 წლის შემდეგ
1	10,5%	21,4%	35,8%
2	12,9%	20,5%	39,8%
3	11,7%	23,6%	36,4%
4	11,9%	29,7%	39,6%
5	13,4%	30,8%	41,9%
6	12,7%	29,6%	39,6%
7	8,9%	19,9%	29,9%
8	9,6%	20,8%	31,3%
9	9,7%	21,3%	33,5%
10	11,3%	29,4%	39,5%
11	10,3%	22,4%	33,9%

დაკვირვების შედეგად აღმოჩნდა, რომ ორწლიანი ვარჯიშის შედეგად საგრძნობლად გაიზარდა ბავშვების ფუნქციური დამოუკიდებლობა (რაც დადასტურდა სტატისტიკურად). მნიშვნელოვნად გაიზარდა ყველა ბავშვის მოტორიკის შესაფასებელი GMFM სკალის ქულა (%). აშკარაა გაუმჯობესების ტენდენცია. რამდენადაც აღრეული ჩარევა აღმოჩნდა ეფექტური, ამიტომ მიზანშეწონილად მიგვაჩნია ამ მეთოდის დანერგვა [6, 7].

ლიტერატურა

1. *Bly L., Whiteside A.* Facilitation Techniques based on NDT principles, 1997.
2. *Bobath B.* Devel. Med. and Child Neurol., 1967.
3. *Girard S., Kadhim H., Roy M. et al.* Pediatr. Neurol., 2009, 40 (3), 168-174.
4. *Kalra L.* Stroke, 1994, 25, 821-825.
5. *Lavonne J.* Home Program Instruction Sheets for Infant and Young Children, 1987.
6. *Matthews D.J., Wilson P.* Cerebral Palsy. In: Molnar G.E., Alexander M.A., eds. Pediatric Rehabilitation, 3rd ed., Philadelphia, Pa: Hanley & Belfus; 1999, 192-217.
7. *Victor M., Ropper A.H.* Adams and Victor's Principles of Neurology, New York. McGraw-Hill, 2001.

ЭФФЕКТИВНОСТЬ РАННЕЙ ФИЗИЧЕСКОЙ ТЕРАПИИ В УСЛОВИЯХ ЦЕРЕБРАЛЬНОГО ПАРАЛИЧА

Э. Мурванидзе, М. Габуния

Государственный университет им. Ильи, Высшая медицинская школа "Аиети", Тбилиси

РЕЗЮМЕ

Была изучена эффективность регулярной физической терапии при спастической форме ДЦП. Было установлено, что ранняя интервенция значительно улучшает функциональную независимость ребенка.

EFFECTIVENESS OF EARLY PHYSICAL THERAPY IN CHILDREN HAVING CEREBRAL PALSY

E. Murvanidze, M.J. Gabunia

Iliia State University, Higher Medical School "Aietii", Tbilisi

SUMMARY

Effectiveness of regular physical therapy in cases of spastic cerebral palsy was studied. It was established that early intervention significantly improves functional independence of affected children.

ვერცხლის სულფაღიაზინის პრეპარატებით მცირე ფართობის თერმული დამწვრობის «დახურული» ფზისთი მკურნალობის თავისებურება

ა. მუნაძე, თ. გვახალია

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო ჰოსპიტალი

მიღებულია 03.12.2010

საომარი მოქმედებების და მშვიდობის დროს ადამიანი ხშირად ღებულობს თერმულ დაზიანებას. რიგ შემთხვევებში ტრავმის ფართობი მცირეა, ხოლო მისი სიღრმე მაღალი ხარისხისაა. ღრმა დამწვრობების ხშირი გართულებებია რეგენერაციის შეფერხება და ნაწიბუროვანი დეფორმაციების განვითარება. აღნიშნული პრობლემის აქტუალობამ განაპირობა გართულებების პრევენციის მიზნით ადგილობრივი მედიკამენტოზური მკურნალობის ეფექტური მეთოდების შემუშავება და კომბუსტიოლოგიის პრაქტიკაში დანერგვა.

ჩვენ მიერ ცხოველებზე ჩატარებულმა ექსპერემენტებმა გვიჩვენა, რომ მცირე ფართობის IIIა-IIIბ ხარისხის თერმული დამწვრობის ვერცხლის სულფაღიაზინის პრეპარატებით „დახურული“ წესით მკურნალობის მეთოდი გვაძლევს სწრაფი შეხორცების საშუალებას. „ნოტიო“ პირობებში რეპარაციის პროცესები მიმდინარეობს უფრო სწრაფად, ვიდრე მკურნალობის „მშრალ“ გარემოში. აღნიშნული მეთოდის გამოყენებით შემდგომში ჩვენ ასევე თავიდან ავიცილებთ უხეში ნაწიბუროვანი დეფორმაციების განვითარებას.

საკვანძო სიტყვები: თერმული დაზიანება, მკურნალობის „დახურული“ წესი, ვერცხლის სულფაღიაზინის პრეპარატები, სიღვაღენით და დერმაზინით მკურნალობა

ლიტერატურის მონაცემების თანახმად, თერმული დამწვრობა წარმოადგენს დამწვრობების ყველაზე გავრცელებულ ფორმას და შეადგენს 90-95%-ს [4]. აღსანიშნავია, რომ საწარმოო დამწვრობა შეადგენს მხოლოდ 25-30%-ს, დანარჩენ 75%-ში ტრავმა საყოფაცხოვრებოა. მშვიდობის პერიოდში სხვა ტრავმებთან შედარებით დამწვრობის ხვედრითი წილი შეადგენს 10-12%-ს. II მსოფლიო ომის დროს თერმული დამწვრობა დაჭრილთა 2%-ს შეადგენდა. შეიარაღების ახალი ტექნოლოგიების პირობებში, მით უმეტეს ბირთვული იარაღის დამაზიანებელი ფაქტორების გათვალისწინებით, ბრძოლის მოქმედების თანამედროვე მეთოდების გამოყენების

დროს თერმული დამწვრობით გამოწვეული ტრაემების რაოდენობა 80%-ს გადააჭარბებს.

III ხარისხის დამწვრობის დროს ადგილი აქვს ქსოვილების კოაგულაციურ ნეკროსს, მშრალ განგრენას და სისხლძარღვთა დაზიანებას მათ სანათურში თრომბული მასების განვითარებით. აღნიშნული ხარისხის დაზიანებისას ხდება მკედარი ქსოვილების მოცილება, შემდგომში დეფექტი ივსება გრანულაციური ქსოვილით. ხდება უხეში ნაწიბურების განვითარება, რაც ხშირად იწვევს მოძრაობის შეზღუდვას (ნაწიბუროვანი კონტრაქტურა) [1, 4].

სხვადასხვა ავტორთა მიერ მოწოდებულია თერმული დაზიანებების მკურნალობის უამრავი მეთოდი, თუმცა დღემდე კომპლექსოლოგიაში არ არსებობს ერთიანი აზრი მცირე ფართობისა და ღრმა დამწვრობების მკურნალობის საკითხში, შემდგომში უხეში ნაწიბურების განვითარების პრევენციის კუთხით [1-5, 8].

ყველაფერი ეს განაპირობებს არადამაკმაყოფილებელი შედეგების არსებობას, რაც გამოიხატება თერმული დამწვრობების მკურნალობისას და მკურნალობის შემდგომ პერიოდში გართულებების სიხშირით.

ნაშრომის მიზანია მცირე ფართობის ღრმა თერმული დამწვრობების დროს ე.წ. „დახურული“ წესით ვერცხლის სულფადაიაზინის პრეპარატებით მკურნალობის უპირატესობის დასაბუთება.

მასალა და მეთოდები

ექსპერიმენტულ ნაწილში ჩვენ მიერ გამოყენებულ იქნა მამრობითი სქესის 60 თეთრი ვირთაგვა, რომელთა წონა შეადგენდა 190-200 გრამს. ცხოველებს ტრაემის სახით ზურგის არეში მიყენებული ჰქონდათ ალით დამწვრობა (ექსპერიმენტული მოდელი). მიყენებული დამწვრობის ფართობი შეადგენდა სხეულის დაახლოებით 2%-ს, დამწვრობის სიღრმე – IIIა-IIIბ ხარისხს. ცხოველები დაიყო 2 ჯგუფად: I ჯგუფში გაერთიანდა 30 ვირთაგვა, რომელთა მკურნალობისთვის გამოყენებული იყო ვერცხლის სულფადაიაზინის პრეპარატი (კრემი „დერმაზინი“ და „სილვადენი“), ხოლო ჭრილობაზე წასმული კრემი იფარებოდა სტერილური პოლიეთილენით (მკურნალობის ე.წ. „დახურული“ წესი). II ჯგუფში გაერთიანდა 30 მოდელი, რომელთა მკურნალობაში გამოიყენებოდა იგივე პრეპარატები, ხოლო ჭრილობის მკურნალობა მიმდინარეობდა „ღია“ წესით. ექსპერიმენტულ მოდელებს ყოველდღიურად უტარდებოდა შეხვევა ასეპტიკის დაცვით, ჭრილობიდან კრემის ნარჩენების მოშორება და ახალი კრემის ექსპოზიცია. ჭრილობაში პლაზმოზისა და ფიბრინის ნაღებებისგან გაწმენდის შემდგომ პერიოდში მკურნალობას ვაგრძელებდით ვერცხლის სულფადაიაზინის შემცველი მაღაძობებით. მკურნალობის მე-3, მე-7, მე-14 და 21-ე დღეს პისტომორფოლოგიური და მორფომეტრული კვლევებისთვის ორივე ჯგუფის წარმომადგენლებს ჭრილობის მიდამოდან ვუღებდით ბიოფსიურ მასალას. ანათლებს ვღებავდით ჰემატოქსილინით და ეოზინით, აგრეთვე, პიკროფუქსინით (ვან-გიზონის მეთოდი). დამწვრობის მკურნა-


ღობისას ვსწავლობდით დამწვრობის „კიდისირგელივი“ ეპითელიზაციის ხარისხს. მხედველობის არეებში ვითვლიდით ლეიკოციტების, ლიმფოციტების, პლაზმური უჯრედების, მაკროფაგების და ფიბრობლასტების რაოდენობას.

ჭრილობებში მიკრობული მოთესვის ინტენსივობის დადგენის მიზნით ვატარებდით მიკრობიოლოგიურ კვლევებს.

მიღებული მონაცემების დამუშავება მოხდა SPSS-ის სტატისტიკური პროგრამის პაკეტით. ტექნიკურად, ძირითადად, გამოიყენებოდა t კრიტერიუმი (სტიუდენტის მეთოდი). აქვე აღვნიშნავთ, რომ სანდო განსხვავებად ითვლება ის მნიშვნელობა, რომელიც ნაკლებია 0,05 ($p < 0,05$), ე.ი. როცა სარწმუნოება ტოლია 95%-ის.

შედეგები და მათი განხილვა

ვერცხლის სულფადიაზინის პრეპარატებით „დახურული“ წესით მკურნალობის პროცესში პირველი საათებიდან I ჯგუფის წარმომადგენლებს ჭრილობის არეში აღვნიშნებოდა ე.წ. „სითბური ეფექტი“. პოლიეთილენის ქვეშ ხდებოდა წყლის წვეთების კონდენსირება, ადგილი ჰქონდა ჟანგბადის ნაკლებობას და ნახშირორჟანგის შემცველობის მომატებას. დროდადრო აღინიშნებოდა სინოტივის მომატება, ჭრილობის ფსკერზე კი რუხი ფერის ექსუდატის არსებობა. ექსუდატის ყველაზე ინტენსიური გამოყოფა მიმდინარეობდა მკურნალობის პირველი 12-18 საათი, ხოლო შემდგომში მცირდებოდა დაახლოებით 15-20%-ით დღეში (5-7 დღე). ყველა შემთხვევაში მკურნალობის დაწყებიდან 24-36 საათში ჭრილობა უკვე ამოფენილი იყო ფიბრინის სქელი ფენით. ჭრილობის ნეკროზული ქსოვილისგან და ფიბრინის ნადებებისგან სრული გაწმენდა აღინიშნებოდა მე-7-11 დღეს. სრული ეპითელიზაცია კი ხდებოდა მე-16-21-ე დღეს (სურათი 1).



სურ. 1. ჭრილობის ნეკროზული ქსოვილებისა და ფიბრინის ნადებებისგან სრული გაწმენდისა და ეპითელიზაციის დასრულების საშუალო მანქნებელი (დღე).

მკურნალობის სხვადასხვა პერიოდებში თერმული დამწვრობით
 გამოწვეულ ჭრილობაში უჯრედოვანი ინფილტრატის
 თვისობრივი შემადგენლობა*

უჯრედები	ჯგუფი	უჯრედების რაოდენობა (%)		
		მე-3 დღეს	მე-7 დღეს	მე-14 დღეს
ლეიკოციტები	I ჯგუფი	73,0 ± 2,8	19,6 ± 1,3	12,7 ± 1,5
	II ჯგუფი	74,5 ± 2,3	59,2 ± 7,2	41,8 ± 3,3
ლიმფოციტები	I ჯგუფი	2,4 ± 0,3	33,5 ± 4,0	45,4 ± 3,9
	II ჯგუფი	1,8 ± 0,4	12,7 ± 2,2	25,2 ± 1,8
პლაზმური უჯრედები	I ჯგუფი	1,2 ± 0,1	7,3 ± 1,2	10,5 ± 1,2
	II ჯგუფი	2,0 ± 0,2	3,4 ± 0,2	6,7 ± 0,3
ფიბრობლასტები	I ჯგუფი	2,2 ± 0,1	10,2 ± 1,6	20,3 ± 3,2
	II ჯგუფი	0	3,3 ± 0,9	8,3 ± 2,0
მაკროფაგები	I ჯგუფი	2,7 ± 0,04	30,2 ± 3,1	6,1 ± 1,3
	II ჯგუფი	1,6 ± 0,2	7,5 ± 0,7	5,7 ± 1,2
პისტიოციტები	I ჯგუფი	0	1,9 ± 0,3	5,3 ± 1,7
	II ჯგუფი	0	1,7 ± 0,3	3,1 ± 0,21

* $p < 0,05$

II ჯგუფის ცხოველების მკურნალობა მიმდინარეობდა ე.წ. „ღია“ წესით. ნეკროზული ქსოვილისა და ფიბრინის ნადებებისგან ჭრილობის სრული გაწმენდა აღინიშნებოდა მკურნალობის მე-11-13 დღეს, სრული ეპითელიზაცია კი – 22-25-ე დღეს (სურათი 1).

მორფომეტრულმა კვლევამ გვიჩვენა, რომ I ჯგუფის ცხოველების ჭრილობის გრანულაციურ ქსოვილში მაკროფაგების და ლეიკოციტების რაოდენობა ნაკლებია, ვიდრე II ჯგუფში, რაც მეტყველებს I ჯგუფში ანთებითი პროცესის მიმდინარეობის დაბალ ხარისხზე. ამასთან ერთად, მიღებული მონაცემების თანახმად, I ჯგუფის ცხოველებში რეპარაციული პროცესები მიმდინარეობს უფრო აქტიურად, ვიდრე II ჯგუფში: ფიბრობლასტების და სისხლძარღვების დიდი რაოდენობა (ცხრილი 1).

ბიოფსიური მასალის ჰისტოლოგიურმა კვლევამ სხვადასხვა ჯგუფებში დაადგინა ჭრილობებში არსებული სხვაობა ეპითელიზაციის პროცესში. I ჯგუფში ჭრილობის „კიდისირგვლივი“ ეპითელიზაციის სიგანე გაცილებით მეტი იყო (სხვაობა სანდოა, $p < 0,05$), ვიდრე II ჯგუფში (ცხრილი 2).

ჰისტოლოგიურმა კვლევამ გვიჩვენა, რომ I ჯგუფის წარმომადგენლებში ეპიდერმისის ახლადგანვითარებულ სტრუქტურას გააჩნდა სიმწიფის უფრო მეტი ნიშნები, ვიდრე II ჯგუფის ცხოველებში. I ჯგუფში ეპიდერმისი

უკვე მე-14 დღეს შეიცავდა ეპიდემიური უჯრედების მეტ რაოდენობას, რომლებიც უფრო დიფერენცირებული იყვნენ. სხვა მაღამოებით მკურნალობისგან განსხვავებით, ვერცხლის სულფადიაზინის პრეპარატებით მკურნალობის დროს ჭრილობაში აღინიშნებოდა მიკრობული მოთესვის დონის სწრაფი კლება და არც ერთ ასოცირებულ მიკროფლორას არ პქონდა ადგილი.

ცხრილი 2

ჭრილობის „კიდისირგვლივი“ ეპითელიზაციის ზონის სიგანე (მმ)

დაკვირვების პერიოდი	I ჯგუფი	II ჯგუფი
მე-3 დღე	1,7 ± 0,07	1,23 ± 0,38
მე-7 დღე	2,8 ± 0,4	1,8 ± 0,6
მე-14 დღე	6,0 ± 0,41	3,1 ± 0,46

* p < 0,05

მიღებული შედეგების თანახმად შეიძლება დავასკვნათ, რომ მცირე ფართობის თერმული დამწვრობების დროს ე.წ. „დახურული“ წესით ვერცხლის სულფადიაზინის პრეპარატებით მკურნალობას ახასიათებს ჭრილობის უფრო სწრაფი რეპარაციის თვისება, ვიდრე „ღია“ წესით მკურნალობას (რაც არ ხდება დიდი ფართობის დამწვრობის დროს). მკურნალობის მოცემული მეთოდი გვაძლევს სწრაფი შეხორცების საშუალებას. აღნიშნული დადებითი თვისება განპირობებულია ე.წ. „ნოტიო გარემოს“ ფენომენით, რომელიც ხელს უწყობს ჭრილობის შეხორცებას და კოლაგენის სინთეზს. აღსანიშნავია ჭრილობაში აირების შემადგენლობის როლი ჭრილობის რეპარაციულ პროცესებში. ცნობილია, რომ ჟანგბადის მაღალი კონცენტრაცია აჩქარებს შეხორცების პროცესს, ამავე დროს იწვევს ნაწიბუროვანი ქსოვილის ჭარბ პროდუქციას [6]. დახურულ სივრცეში ჰიპოქსია იწვევს ანგიოგენეზის სტიმულირებას [7]. კონკრეტულ შემთხვევაში პოზიტიურ როლს ასრულებს დიდი რაოდენობით სითხის მიგრაცია ე.წ. „პარანეკროზულ“ ზონაში. დამწვრობის „დახურული“ წესით მკურნალობის დროს „პარანეკროზის“ ზონაში გადის სითხის უხვი რაოდენობა. აღნიშნული სითხის შემადგენლობა უტოლდება სისხლის პლაზმას. „დახურული“ წესით მკურნალობისას „პარანეკროზის“ ზონაში არ ხდება ქსოვილების „გამოშრობა“. ამ დროს უჯრედები, რომლებიც არიან დაზიანებული და არანეკროზირებული, დებულობენ უკეთეს კვებას და ნაწილობრივ განიცდიან „რენიმაციას“. ამ მეთოდით მკურნალობას გააჩნია ასევე ის პოზიტიური მომენტი, რომ შემდგომში არ ვითარდება უხეში ნაწიბუროვანი დეფორმაციები.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, მცირე ფართობისა და ღრმა თერმული დამწვრობების დროს, სწრაფი რეპარაციისა და შემდგომში უხეში ნაწიბუროვანი ქსოვილების განვითარების პრევენციის მიზნით, ჩვენ მიერ

რეკომენდებულია ვერცხლის სულფადაიაზინის პრეპარატებით მკურნალობა „დახურული“ წესით.

ლიტერატურა

1. *Власов А.С., Мельцова А.Ж.* Влияние дермального эквивалента кожи на заживление ран. Физиология и медицина: Сборник материалов Всероссийской конференции молодых исследователей. М., СПб., 2005, с. 23.
2. *Достовалова А.И.* Лечение больных с ожогами лица II-III А степени гелем хитозана. Дис. канд. мед. наук, Новосибирск, 2004, 124 с.
3. *Парамонов Б.А.* Способ лечения изолированных ожогов дистальных отделов конечностей. Патент РФ №2002464, 1991.
4. *Парамонов Б.А., Порембский Я.О., Яблонский В.Г.* Ожоги. СПб.: СпецЛит, 2000, 480 с.
5. *Мензул В.А., Морозов В.М., Мульменко Н.М. и соавт.* Новый метод местного лечения ожогов III-IV степени. Международный симпозиум “Новые методы лечения ожогов с использованием культивированных клеток кожи. Тула, 1996, с. 254.
6. *Kaufman T., Alexander J.* Topical oxygen treatment promoted healing and enhanced scar formation of experimental full-thickness burns. Beyond occlusion: wound care proceedings, 1987, p.61-66.
7. *Knighton D., Hunt T., Scheuenstuhl H.* Science, 1983, 221, 1283-1285.
8. *Whitby D.* Growth factors and wound healing. The Sixth Congress of the European Burn Association, Verona, 1995, p. 140.

ОСОБЕННОСТИ ЛЕЧЕНИЯ МАЛЫХ ПЛОЩАДЕЙ ТЕРМИЧЕСКИХ ОЖОГОВ ПРЕПАРАТАМИ СУЛЬФАДИАЗИНА СЕРЕБРА “ЗАКРЫТЫМ” МЕТОДОМ

А. Мухадзе, Т. Гвасалия

Военный госпиталь Министерства обороны Грузии

РЕЗЮМЕ

Во время военных действий, а также в мирное время человек часто подвергается термическим поражениям. В ряде случаев площадь ожогов небольшая, хотя глубина его поражения довольно значительная. Одним из частых осложнений глубоких ожогов являются долго незаживающие раны и образование рубцовых деформаций. Разработка и совершенствование эффективных превентивных методов лечения термических ожогов обусловлена актуальностью данной проблемы.

Проведенные нами эксперименты на животных показали, что лечение необширных глубоких термических ожогов препаратами сульфадиазина серебра “закрытым” методом способствует более быстрому заживлению ран. Во “влажной” среде репаративные процессы протекают более интенсивно, чем в “сухой” среде. Внедрение в практику комбустиологии предложенного нами метода лечения поможет также избежать и такое осложнение как развитие рубцовых деформаций.

PECULIARITIES OF THE TREATMENT OF SMALL AREAS OF THERMAL BURNS BY "CLOSED" METHOD WITH SILVER SULFADIAZINE PREPARATION

A. Mukhadze, T. Gvasalia

L.L.P. MOD Military Hospital

SUMMARY

At the time of military hostilities and the peace a man often gets thermal injuries. In some cases the area of trauma is small, though its depth is quite considerable. One of the most frequent complications of deep burn is the regeneration slow down and the formation of scar deformation. Because of the complication prevention the actuality of this problem caused the elaboration of effective medication treatment and the inculcating of combustiology in practice.

The experiments conducted by us on animals showed that the treatment of IIIa-IIIb small area thermal burn by "closed" method with silver sulfadiazine gives us the result of fast healing. In "damp" environment the reparation process proceeds faster than in "dry" surrounding. The usage of our method can help us to prevent the development of rough scar deformations.

დექსამეტაზონის გავლენა ახალშობილი ჰირთაგვების ზრდის მაჩვენებლებზე

თ. სინაურიძე, ნ. გონგაძე, ი. კვაჭაძე, ბ. ტყეშელაშვილი, ვ. ბექიაი

პ. შოთაძის სახ. თბილისის სამედიცინო აკადემია; თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი; შპს “დავით გაგუას კლინიკა”; ი. ბერიტაშვილის ფიზიოლოგიის ინსტიტუტი

მიღებულია 17.11.2010

ახალშობილ ვირთაგვებზე ჩატარებულ ცდებში გამოყენებული იყო დექსამეტაზონის კლებადი დოზებით მკურნალობა ოთხი დღის (დაბადებიდან მე-3-6) განმავლობაში. ამასთან ერთად, ცხოველთა ერთ ჯგუფს მაღალი დოზით უკეთდებოდა აგრეთვე L-არგინინი.

დადგინდა, რომ დექსამეტაზონით ხანგრძლივი მკურნალობა ახალშობილ ვირთაგვებში იწვევს სხეულის მასის, სიგრძის და თავის ტვინის მასის მატების შეფერხებას.

დექსამეტაზონით ინდუცირებული ყველა აღნიშნული დარღვევის პრევენცია შესაძლებელია ორგანიზმში აზოტის ოქსიდის დონორის სისტემური შეყვანით, რაც მიუთითებს იმაზე, რომ ცხოველის ზრდის პროცესის დარღვევებს საფუძვლად უდევს დექსამეტაზონით გამოწვეული აზოტის ოქსიდის სინთაზის ინიბირება.

საკვანძო სიტყვები: დექსამეტაზონი, აზოტის ოქსიდი, L-არგინინი, ახალშობილი ვირთაგვები

კლინიკურ პრაქტიკაში მცირეწონიანი ახალშობილების დექსამეტაზონით მკურნალობის თერაპიული ფანჯარა საკმაოდ დიდ პერიოდს მოიცავს – ჩასახვის 22-23-ე კვირიდან 32-33-ე კვირამდე. ამ პერიოდში ადამიანის თავის ტვინი მნიშვნელოვან სტრუქტურულ და ფუნქციურ გარდაქმნებს განიცდის, რაც განსაკუთრებულად ზრდის მის მოწყველადობას გარეგანი ზემოქმედებისადმი.

დექსამეტაზონით ხანგრძლივი მკურნალობის გვერდითი ჩვენებები კარგად არის დოკუმენტირებული და ცნობილი. იგი მოიცავს სისტემურ ჰიპერტენზიას, ნაწლავების პერფორაციას, ინფექციას, ვენტრიკულურ ჰიპერტროფიას, მეტაბოლიზმის მოშლას და ლიმფურ-ჰიპოთალამურ-ჰიპოფიზურ-ადრენალური სისტემის ფუნქციის აღტერაციას [2, 4, 6, 9, 11].

აღნიშნულთან ერთად მიგვაჩნია, რომ დექსამეტაზონით ხანგრძლივი მკურნალობის გავლენა ნაყოფის ზრდის მაჩვენებლებზე საჭიროებს სპეციალურ ექსპერიმენტულ კვლევას, ვინაიდან ამის აუცილებლობაზე მიუთითებს საკმარისად მცირერიცხოვანი, მაგრამ ფრიად მნიშვნელოვანი კლინიკური მონაცემები [3, 13].

გამომდინარე ზემოთქმულიდან, წარმოდგენილი კვლევის მიზანი იყო ახალშობილ ცხოველთა ჯგუფებზე შეგვესწავლა დექსამეტაზონის და დექსამეტაზონთან ერთად L-არგინინის გავლენა ზრდის და განვითარების მაჩვენებლებზე (სხეულის მასის მატება, სხეულის სიგრძის მატება, თავის ტვინის მასის ზრდა).

მასალა და მეთოდიკა

კვლევის ჩასატარებლად შერჩეული იყო 20 მაკე ვირთაგვა, რომელთა ნაყარიდან შედგა ახალშობილ ცხოველთა ოთხი ჯგუფი (8-8 მამრი, სულ 32 ცხოველი):

1. ინტაქტური (პირველი საკონტროლო) ჯგუფი;
2. ჯგუფი, რომელსაც უკეთებოდა ფიზიოლოგიური ხსნარის ინტრაპერიტონეალური ინექცია (მეორე საკონტროლო ჯგუფი);
3. ჯგუფი, რომელსაც უკეთებოდა დექსამეტაზონის ინტრაპერიტონეალური ინექცია (პირველი ექსპერიმენტული ჯგუფი).
4. ჯგუფი, რომელსაც დექსამეტაზონის ინექციასთან ერთად ასევე ინტრაპერიტონეალურად უკეთებოდა L-არგინინი (მეორე ექსპერიმენტული ჯგუფი).

ფიზიოლოგიური ხსნარის და დექსამეტაზონის ინექცია კეთებოდა მშობიარობიდან მე-3-6 დღეებში (ყოველდღიურად). დექსამეტაზონის ინექცია ექსპერიმენტულ ჯგუფებში ხდებოდა შემცირებადი დოზებით:

- მე-3 დღეს - 0,5 მგ/კგ,
- მე-4 დღეს - 0,25 მგ/კგ,
- მე-5 დღეს - 0,125 მგ/კგ,
- მე-6 დღეს - 0,05 მგ/კგ.

მეორე ექსპერიმენტული ჯგუფის ცხოველებს დექსამეტაზონის აღნიშნულ დოზებთან ერთად უკეთებოდა L-არგინინი (500 მგ/კგ).

ფიზიოლოგიური ხსნარი იგივე მოცულობით, რაც საჭირო იყო მეორე ექსპერიმენტული ჯგუფის ცხოველებში დექსამეტაზონის და L-არგინინის სითხის შესაყვანად, იგივე დღეებში უკეთებოდა მეორე საკონტროლო ჯგუფის ცხოველებს.

ცხოველთა ზომა (სიგრძე - ცხოველის ცხვირის წვერიდან კუდის ფუძემდე) აღირიცხებოდა ზემოთ აღნიშნული პროცედურების ჩატარებამდე, პროცედურების დროს და მათი დასრულების შემდეგ გაგრძელდა მშობიარობიდან მე-8, მე-14, მე-20, მე-60 და 120-ე დღეებში.

ამავე დღეებში ხდებოდა ცხოველთა წონის მატების აღრიცხვა.

მშობიარობიდან მე-8 დღეს თითოეული ჯგუფიდან რანდომიზებულად გამოიყო ორ-ორი ცხოველი და ღრმა ნარკოზის ქვეშ მათ ჩაუტარდათ

დეკაპიტაცია, რომლის შემდეგ აღირიცხა მათი თავის ტვინის წონა. იგივე პროცედურა ყველა სხვა ცხოველზეც ჩატარდა დაგეგმილი ექსპერიმენტების დასრულების შემდეგ (120-ე დღე).

მიღებული შედეგები

ცხოველთა წონის აღრიცხვის შედეგების საშუალო სტატისტიკური სიდიდეები (გრამებში) მოყვანილია ცხრილში 1.

როგორც ამ ცხრილში მოტანილი მონაცემებიდან ჩანს, მშობიარობიდან პირველი ორი-სამი დღის განმავლობაში ცხოველთა წონა ყველა ჯგუფში პრაქტიკულად ერთნაირია, ხოლო დაწყებული მეხუთე დღიდან წონის მატება დექსამეტაზონით ნამკურნალებ ცხოველთა ჯგუფში საგრძნობლად არის შეჩერებული (სხვაობა ყველა სხვა ჯგუფებთან შედარებით სტატისტიკურად სარწმუნოა – $p < 0,05$).

ცხრილი 1


ახალშობილ ცხოველთა მასის ცვლილების დინამიკა მშობიარობის მე-3 დღიდან 120-ე დღემდე ინტაქტურ, ფიზიოლოგიურ სხნარით, დექსამეტაზონით და დექსამეტაზონის და L-არგინინის კომბინაციით ნამკურნალები ვირთაგვების ჯგუფებში

აწონვის დღე (ათვლილი მშობიარობის დღიდან)	ინტაქტური ცხოველები	ფიზ. სხნარის ინექცია	დექსამეტაზონის ინექცია	დექსამეტაზონი + L-არგინინის ინექცია
3	8,2 ± 0,2	8,3 ± 0,1	8,2 ± 0,1	8,3 ± 0,1
4	8,6 ± 0,1	8,5 ± 0,1	8,2 ± 0,1	8,5 ± 0,1
5	12,1 ± 0,2	12,3 ± 0,2	9,3 ± 0,1	12,2 ± 0,3
6	15,4 ± 0,3	15,2 ± 0,5	10,2 ± 0,3	15,2 ± 0,4
7	17,5 ± 0,1	17,2 ± 0,2	10,4 ± 0,3	17,3 ± 0,4
14	37,3 ± 0,8	36,9 ± 0,7	27,9 ± 1,1	37,1 ± 1,2
20	54,3 ± 1,6	53,8 ± 1,8	43,1 ± 1,4	54,2 ± 1,1
45	245,4 ± 4,3	242,6 ± 3,9	201,2 ± 5,5	244,7 ± 4,8
60	362,8 ± 6,1	359,6 ± 5,5	304,3 ± 6,4	360,6 ± 5,4
120	372,3 ± 6,6	370,8 ± 5,9	308,2 ± 7,1	370,7 ± 6,8

მიღებული შედეგების გრაფიკული გამოსახვა პროცენტებში უფრო თვალსაჩინოდ იძლევა ცხოველთა წონაში აღრიცხული სხვაობის სურათს (სურ. 1).

მიღებული მონაცემები მოწმობს, რომ ახალშობილი ვირთაგვების დექსამეტაზონის კლებადი დოზებით ჩატარებულმა 4-დღიანმა მკურნალობამ

(მშობიარობიდან მე-3 – მე-6 დღეების განმავლობაში) მნიშვნელოვნად შეაფერხა მათი მასის მატება.



სურ. 1. ცხოველების მასის ცვლილების დინამიკა მშობიარობის მე-3 დღიდან 120-ე დღემდე ინტაქტურ (Intact) ფიზიოლოგიური ხსნარით (Saline), დექსამეტაზონით (Dex.) და დექსამეტაზონის და L-არგინინის (Dex. + L-Arg) ერთობლივი მკურნალობის შემდეგ

იგივე მოცულობის ფიზიოლოგიური ხსნარის ინექციამ არ გამოიწვია რაიმე ცვლილებები ინტაქტურ ცხოველებთან შედარებით, ხოლო დექსამეტაზონთან ერთად L-არგინინის მაღალი დოზით მკურნალობამ საგრძნობლად შეასუსტა დექსამეტაზონით გამოწვეული მასის მატების შეფერხება და ცხოველთა ამ ჯგუფში მასის მატება მნიშვნელოვანწილად მიუახლოვა ინტაქტურ ცხოველთა ჯგუფის მონაცემებს.


ცხოველთა ზრდა სიგრძეში. ამ მანქანების მიხედვით, სტატისტიკურად არასარწმუნო სხვაობა დექსამეტაზონით ნამკურნალებ ცხოველთა ჯგუფსა და სხვა ჯგუფებს შორის აღინიშნებოდა მხოლოდ მე-7-20 დღეებში (ცხრილი 2, სურათი 2), შემდგომ დღეებში რაიმე შესამჩნევი სხვაობა არ გამოვლენილა.

ცხრილი 2

ცხოველის სიგრძე (მმ) დაბადებიდან მე-3 – მე-20 დღეს

ცხოველთა ჯგუფი	მე-3 დღე	მე-7 დღე	მე-14 დღე	მე-20 დღე
ინტაქტური	50 ± 3,8	65 ± 5,0	88 ± 6,0	107 ± 7,8
ფიზიოლ. ხსნარით ნამკურნალები	52 ± 4,1	64 ± 6,7	87 ± 7,2	105 ± 8,6
დექსამეტაზონით ნამკურნალები	50 ± 4,6	55 ± 6,2	74 ± 5,2	90 ± 9,5
დექსამეტაზონით და L-არგინინით ნამკურნალები	51 ± 3,5	64 ± 7,4	87 ± 7,6	104 ± 9,8

ცხოველთა თავის ტვინის მასის ცვლილება. თავის ტვინის მასა მშობიარობიდან მე-8 დღეს დექსამეტაზონით ნამკურნალებ ცხოველებში ყველა სხვა ჯგუფთან შედარებით სტატისტიკურად სარწმუნოდ ნაკლები იყო ($p < 0,05$), ასეთივე სარწმუნო სხვაობა დაფიქსირდა 120-ე დღეს (სხვა დღეებში ეს მანუვრები არ აღრიცხულა). რაოდენობრივი მანუვრები მოყვანილია მესამე ცხრილსა და სურათებზე 3 და 4.



სურ. 2. სიგრძეში მატება ინტაქტურ (Intact), ფიზიოლოგიური ხსნარით (Saline), დექსამეტაზონით (Dex.) და დექსამეტაზონის და L-არგინინით (Dex + L-Arg) ერთობლივად ნამკურნალებ ვირთაგვებში მშობიარობიდან მე-3-20 დღეებში


ცხრილი 3

ახალშობილ ცხოველთა თავის ტვინის მასა (გრამებში) მშობიარობიდან მე-8 და 120-ე დღეს ინტაქტურ, ფიზიოლოგიური ხსნარით, დექსამეტაზონით და დექსამეტაზონის და L-არგინინის კომბინაციით ნამკურნალები ვირთაგვების ჯგუფებში


აწონვის დღე (ათვილილი მშობიარობის დღიდან)	ინტაქტური ცხოველები	ფიზიოლოგიური ხსნარის ინექცია	დექსამეტაზონის ინექცია	დექსამეტაზონი + L-არგინინის ინექცია
8	0,75 ± 0,01	0,73 ± 0,03	0,61 ± 0,02	0,72 ± 0,01
120	2,20 ± 0,05	2,21 ± 0,06	2,05 ± 0,05	2,20 ± 0,04

როგორც განხილული მასალა მოწმობს, ჩვენ შევისწავლეთ დაბადებიდან პირველი კვირის დღეებში დექსამეტაზონით ჩატარებული მკურნალობის როგორც ადრეული, ისე გვიანი შედეგები. სხვა მკვლევარებისგან განსხვავებით [1, 7, 14], ჩვენ გამოვიყენეთ დექსამეტაზონის კლებადი

დოზებით შეყვანის მოდელი დაბადებიდან მე-3-6 დღეების განმავლობაში, რათა მაქსიმალურად მივახლოვოდი იმ რეჟიმს, რომელიც გამოიყენება ნეონატალურ კლინიკებში მცირეწონიანი ჩვილების ჟანგბადის ხელოვნური მიწოდების ხანგრძლივობის შემცირების მიზნით 42-დღიანი დექსამეტაზონით მკურნალობისას [8].



სურ. 3. თავის ტვინის მასა ინტაქტურ (Intact), ფიზიოლოგიური ხსნარით (Saline), დექსამეტაზონით (Dex.) და დექსამეტაზონის და L-არგინინით (Dex. + L-Arg) ერთობლივად ნამკურნალებ ვირთაგეებში მშობიარობიდან მე-8 დღეს



სურ. 4. თავის ტვინის მასა ინტაქტურ (Intact), ფიზიოლოგიური ხსნარით (Saline), დექსამეტაზონით (Dex.) და დექსამეტაზონის და L-არგინინით (Dex. + L-Arg) ერთობლივად ნამკურნალებ ვირთაგეებში მშობიარობიდან 120-ე დღეს

მიგვაჩნია, რომ დექსამეტაზონის შეყვანის ჩვენ მიერ შერჩეული დროის პერიოდს პრინციპული მნიშვნელობა გააჩნია, რადგან იგი შეესატყვისება

ადამიანის ორსულობის მესამე ტრიმესტრს, ნაყოფის ზრდისა და განვითარების ყველაზე მოწვევლად პერიოდს, როდესაც ადამიანის ნაყოფის თავის ტვინი უაღრესად მგრძობიარეა გარეგანი და შინაგანი შემოქმედებებისადმი [5]. ამასთან ერთად, ჩვენს კვლევაში გამოყენებული იყო დექსამეტაზონის და L-არგინინის კომბინირებული მკურნალობა, რითაც ჩვენ ხაზი გავუსვით დექსამეტაზონის ისეთ მახასიათებელს, როგორცაა მის მიერ აზოტის ოქსიდის როგორც ენდოთელური, ისე ინდუციბელური სინთაზას მკვეთრად გამოხატული ინჰიბირება. უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენ მიერ ხელმისაწვდომ ლიტერატურაში ვერ ვნახეთ წყარო, სადაც დექსამეტაზონის ეს მახასიათებელი გათვალისწინებული ყოფილიყო მისი ეფექტების შესწავლისას ნეონატალური კლინიკის პრობლემებთან კორელაციაში.

უპირველეს ყოვლისა, ჩვენ შეგვიძლია ვამტკიცოთ, რომ ნეონატალურ პერიოდში დექსამეტაზონით მკურნალობას შესაძლოა მოჰყვეს შორეული უარყოფითი შედეგები. რა თქმა უნდა, ჩვენ არ ვგულისხმობთ იმ შემთხვევებს, როდესაც დექსამეტაზონოთერაპია გამოიყენება ხანმოკლე, მაგალითად, 48-საათიან პერიოდში.

არის მოსაზრება, რომ ცხოველების ზრდის, წონის მატების და თავის ტვინის მასის არაადეკვატური ზრდა შეიძლება გამოწვეული იყოს დექსამეტაზონის პირდაპირი მოქმედებით კატაბოლიზმსა და ქსოვილის ზრდაზე. ამის ერთ-ერთ არგუმენტად იყენებენ იმას, რომ ახალშობილები ვერ იღებენ ადეკვატურ კვებას პოსტნატალურ პერიოდში, რადგან ვერ ახერხებენ ძუძუს პოვნას, ან ვერ ახერხებენ მის საკმარისად მოწოდებას [10]. თუმცა, რატომ უნდა გამოეწვიოს დექსამეტაზონს კვების ასეთი ტიპის დარღვევები, ამის შესახებ ავტორები არაფერს ამბობენ.

უფრო მართებულია მიგვაჩინოს ამავე ავტორების მეორე მოსაზრება, რომელიც უკავშირდება დექსამეტაზონით გამოწვეული ცილების ჭარბ დაშლას შესაბამისი შედეგებით. ამასთან ერთად უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ქრონიკულად დაავადებული ფილტვების მქონე ჩვილ ბავშვებში, რომლებმაც გაიარეს დექსამეტაზონოთერაპია, მცირე წონას ვერ აეხსნით ენერჯის დიდი მოხმარებით ან კალორიების დაქვეითებული მიღებით [13].

როგორც ვნახეთ, დექსამეტაზონის მოქმედების შედეგად შემცირებული იყო ცხოველების თავის ტვინის მასაც, თუმცა, თუ ავიღებთ ცხოველის საერთო მასის შეფარდებას თავის ტვინის მასასთან, მაშინ სხვაობა ცხოველთა ჯგუფებს შორის აღარ აღინიშნება.

არ არის გამორიცხული აგრეთვე, რომ დექსამეტაზონი გავლენას ახდენდეს ნირო- და გლიოგენეზზეც განსაკუთრებულად მგრძობიარე, უფრო სწორად კი მოწვევლად ცერებრულ სტრუქტურებში. თუმცა, რაიმე ექსპერიმენტული ან კლინიკური მონაცემი, რომელიც მოგვცემს ამ მოსაზრების მტკიცებას ან უარყოფას, ჩვენთვის ხელმისაწვდომ ლიტერატურაში ვერ ვნახეთ.

როგორც ჩვენი მონაცემები მოწმობს, ცხოველთა იმ ჯგუფში, რომლებსაც დექსამეტაზონთან ერთად უკეთებოდა L-არგინინი, ყველა ზემოთ აღნიშნული ცვლილება არ დაფიქსირდა. მეორე ექსპერიმენტული ჯგუფის

ცხოველები პრაქტიკულად არ განსხვავდებიან საკონტროლო ჯგუფების ცხოველებისგან.

ეს გვაძლევს მნიშვნელოვან საფუძველს ვივარაუდოთ, რომ *დექსამეტაზონის აღნიშნული ეფექტი უმეტესწილად განპირობებული უნდა იყოს მისი ინჰიბიტორული თვისებით – აზოტის ოქსიდის სინთაზას აქტიურობის ბლოკირებით.*

ცნობილია, რომ გლუკოკორტიკოიდებით მკურნალობა ასოცირდება ზომიერად გამოხატული ჰიპერტენზიის განვითარებასთან. იყო გამოთქმული ვარაუდი, რომ ეს მოვლენა უკავშირდება ენდოთელური აზოტის ოქსიდის სინთაზას ექსპრესიის შემცირებას [12]. ამავე ავტორებმა დაადგინეს, რომ დექსამეტაზონის 0,1-3,0 მგ/კგ შეყვანის ფონზე აცეტილქოლინით გამოწვეული ენდოთელიუმ-დამოკიდებული მიკროვასკულური არტერიოლების ვაზოდილატაცია შემცირდა დექსამეტაზონის გამოყენებული დოზების პროპორციულად. ამავე დროს, არავითარი ცვლილება არ მომხდარა ენდოთელიუმ-დამოკიდებულ ვაზოდილატაციის ხარისხში.

დექსამეტაზონით გამოწვეული აცეტილქოლინით ინდუცირებული ვაზოდილატაციის დათრგუნვა ნაწილობრივ რევერსირებული იყო ცხოველის დიეტაში L-არგინინის მცირე დოზის (50 მგ/კგ) დამატებით. ავტორები ასკენიან, რომ დექსამეტაზონით გამოწვეული ენდოთელიუმ-დამოკიდებული მიკროვასკულური ვაზოდილატაციის სუპრესია მოიცავს რამდენიმე მექანიზმს: 1. ენდოთელური აზოტის ოქსიდის სინთაზას ექსპრესიის შემცირებას და 2. ჟანგბადის რეაქტიული თავისუფალი რადიკალების გენერაციას. ამასთან ერთად მოწოდებულია რეკომენდაცია, რომ L-არგინინით და ვიტამინ C-თი შესაძლებელია ნაწილობრივ მაინც მოხდეს დექსამეტაზონით ინდუცირებული მიკროვასკულური არტერიოლების ვაზოდილატაციური ფუნქციის დარღვევის და მასთან დაკავშირებული ჰიპერტენზიის კორექცია.

როგორც ვნახეთ, ჩვენს ცდებში აღვილი ჰქონდა დექსამეტაზონით მიღებული ცვლილებების არა ნაწილობრივ, არამედ სრულ რევერსიას, რაც განპირობებული უნდა იყოს ჩვენ მიერ გამოყენებული L-არგინინის მაღალი დოზით.

ლიტერატურა

1. Bakker J.M., Kavelaars A., Kamphuis P.J., Zijlstra J., van Bel F., Heijnen C.J. J. Neuroimmunol., 2001, 112 (1-2), 47-54.
2. Bensky A.S., Kothadia J.M., Covitz W. Pediatrics, 1996, 97, 818-821.
3. Berry M.A., Abrahamowicz M., Usher R.H. Pediatrics, 1997, 100, 640-646.
4. Brownlee K.G., Ng P.C., Henderson M.J., Smith M., Green J.H., Dear P.R. Arch. Dis. Child., 1992, 67, 1-4.
5. Dobbing J. The later development of the brain and its vulnerability. In: Scientific Foundations of Paediatrics, edited by Davis JA. London: Heinemann, 1981, p. 744-759.
6. Ferrara T.B., Couser R.J., Hoekstra R.E. J. Perinatol., 1990, 10, 137-142.
7. Gramsbergen A., Mulder E.J.H. Pediatr. Res., 1998, 44, 105-110.
8. Kothadia J., O'Shea T.M., Roberts D., Auringer S.T., Wearer R., Dillard R.G. Pediatrics, 1999, 104, 22-27.
9. Leitch C.A., Ahlrichs J., Karn C., Denne S.C. Pediatr. Res., 1999, 46, 109-113.

10. Neal C.R., Weidmann G., Kabbaj M., Vazquez D.M. Am. J. Physiol. Regulatory Integrative Comp. Physiol., 2004, 287, 375-385.
11. Ng P.C., Brownlee K.G., Dear P.R. Arch. Dis. Child., 1991, 66, 1164-1166.
12. Schafer S.C., Wallerath T., Closs E.I., Schmidt C., Schwarz P.M., Forstermann U., Lehr H. Am. J. Heart Circ. Physiol., 2005, 288, H436-H444.
13. Shrivastava A., Lyon A., McIntosh N. Eur. J. Pediatr., 2000, 159, 380-384.
14. Vicedomini J.P., Nonneman A.J., DeKosky S.T., Scheff S.W. Physiol. Behav., 1986, 36, 145-149.

ВЛИЯНИЕ ДЕКСАМЕТАЗОНА НА ПОКАЗАТЕЛИ РОСТА И РАЗВИТИЕ НОВОРОЖДЕННЫХ КРЫСЯТ

О.Д. Синауридзе, Н.В. Гонгадзе, И.Д. Квачадзе, Б.Д. Ткешелашвили, Г.Л. Бекаия

Тбилисская медицинская Академия им. П. Шотадзе; Тбилисский государственный медицинский университет; ООО "Клиника Давида Гагуа"; Институт физиологии им. И. Бериташвили

РЕЗЮМЕ

В опытах на новорожденных крысятах использовали введение дексаметазона в течение четырех дней (с 3-го по 6-ой день после рождения). Одной группе животных вместе с дексаметазоном вводили также L-аргинин.

Установлено, что хроническое введение дексаметазона у новорожденных крысят вызывает задержку роста массы и длины тела, а также массы головного мозга.

Профилактику всех отмеченных индуцированных дексаметазоном нарушений можно реализовать системным введением донора оксида азота L-аргинина, что указывает на то, что в основе этих нарушений лежит вызванная дексаметазоном ингибция активности синтазы оксида азота.

EFFECT OF DEXAMETHASONE ON THE GROWTH AND DEVELOPMENT OF NEWBORN RATS

O. Sinauridze, N. Gongadze, I. Kvachadze, B. Tkeshelashvili, G. Bekaiia

P. Shotadze Tbilisi Medical Academy; Tbilisi State Medical University; Ltd. "David Gagua Clinic"; I. Beritashvili Institute of Physiology

SUMMARY

In experiments on newborn rats the Dexamethasone administration has been performed during four days (from 3th to 6th days after the birth). The other group of animals together with dexamethasone has been injected with L-Arginine.

It has been established that chronic administration of Dexamethasone in neonatal rats decreases animals' somatic growth and brain weight. These disorders induced by Dexamethasone can be prevented by systemic administration of L-arginine (Nitric Oxide donor). This indicates that all mentioned Dexamethasone-induced disorders are caused by inhibition of nitric oxide synthases activity.

ნაღვლის ბუშტის კენჭების ეპრ გამოკვლევა მენოპაუზურ ქალებში

*მ. შენგელია, ე. ჩიკვაიძე, მ. კილაძე, თ. სანიკიძე,
ნ.ნ. გოგებაშვილი, ნ. გოგებაშვილი*

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი; სამედიცინო ბიოტექნოლოგიის ინსტიტუტი; ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

მიღებულია 15.10.2010

პოსტმენოპაუზური ასაკის 15 ქალში შესწავლილი და დადგენილია ნაღვლის ბუშტის კენჭების ფორმირებასა და სისხლში FSH-ს შემცველობას შორის დამოკიდებულება.

შესწავლილ იქნა მენოპაუზური ქალების (ასაკი $52,4 \pm 9,7$ წწ.) ნაღვლის ბუშტის კენჭების ეპრ სპექტრები. კენჭების ეპრ სპექტრები რეგისტრირდებოდა რადიოსპექტრომეტრზე ESR-V (X-band).

ყველა პაციენტის ნაღვლის ბუშტის კენჭების ეპრ სპექტრში რეგისტრირდება ბილირუბინის ეპრ სიგნალი ($g = 2,003$, $\Delta H = 1,0$ მტლ); შესწავლილ მასალაში გამოვლინდა სტატისტიკურად სარწმუნო უარყოფითი კორელაცია ნაღვლის ბუშტის კენჭების ბილირუბინის ეპრ სიგნალების ინტენსივობასა და სისხლში FSH-ს შემცველობას შორის.

შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ პოსტმენოპაუზური ასაკის ქალებში FSH-ის დონის დაქვეითება ხელს უწყობს მელატონინის სეკრეციის შემცირებას, ბილირუბინის დაჯანგვას, ბილირუბინის თავისუფალი რადიკალებს წარმოქმნას, ოქსიდაციური სტრესის ინტენსიფიკაციას და, შედეგად, ნაღვლკენჭოვანი დაავადების განვითარებას.

საკვანძო სიტყვები: პოსტმენოპაუზური ასაკი, ნაღვლკენჭოვანი დაავადება, ფოლიკულომასტიმულირებელი პორმონი, ეპრ სპექტრები

ნაღვლკენჭოვანი დაავადება საჭმლის მომნელებელი ტრაქტის დაავადებათა შორის ერთ-ერთი გავრცელებული პათოლოგიაა. ქალებში ნაღვლკენჭოვანი დაავადება განსაკუთრებით ხშირად გვხვდება 40 წლის შემდეგ.

კენჭების წარმოქმნას ხელს უწყობს სხვადასხვა ფაქტორები, რომელთა შორის ნივთიერებათა ცვლის მოშლას მნიშვნელოვანი როლი უჭირავს.

მექანიზმები, რომელთა მიხედვით მიმდინარეობს კენჭების ფორმირება, ჯერჯერობით არ არის დადგენილი. ის გარემოება, რომ კენჭების ფორმირება ხშირად დაკავშირებულია ანთების (ინფექცია, ლეიქმის, პანკრეასის დაავადებები) და მასთან დაკავშირებული ოქსიდაციური სტრესის განვითარებასთან გვაფიქრებინებს, რომ ნაღველკენჭოვანი დაავადების და კენჭის ფორმირების პათოგენეზში ოქსიდაციური მეტაბოლიზმის ცვლილებებს და მის სასიგნალო მოლეკულებს - ქანგბადისა და აზოტის რეაქციულ ნაერთებს გარკვეული როლი ენიჭება [1, 2, 3]

ნათხემის პორმონი და, აგრეთვე, ნაღვლის სეკრეციის პროდუქტი - მელატონინი ზემოქმედებას ახდენს ნაღვლის მასეკრეტირებელ მიოციტებზე და თავისი ანტიოქსიდანტური აქტიურობის გამო აინჰიბირებს კენჭების პროდუქციას. მელატონინი ამცირებს ნაღვლის ბუშტში ქოლესტეროლის დონეს, ინტესტინალურ ეპითელიუმში ქოლესტეროლის აბსორბციის ინჰიბიციის და მისი ნაღვლის მჟავად კონვერსიის გზით.

დადგენილია, რომ პოსტმენოპაუზური ასაკის ქალებში მცირდება მელატონინის დონე და ეს ცვლილებები კორელირებს ქალის სისხლში ფოლიკულო-მასტიმულირებელი პორმონის (FSH) სეკრეციის ცვლილებებთან [4]. დამოკიდებულება მელატონინსა და FSH-ს შემცველობას შორის გვაფიქრებინებს, რომ ნაღვლის ბუშტის კენჭების ფორმირების პათოგენეზში მნიშვნელოვანი როლი ენიჭება პოსტმენოპაუზური ასაკის ქალებისთვის დამახასიათებელი პორმონების სეკრეციის ცვლილებებს.

შრომის მიზანს შეადგენდა პოსტმენოპაუზური ასაკის ქალებში ნაღვლის ბუშტის კენჭების ფორმირებისა და FSH-ს შემცველობას შორის დამოკიდებულების დადგენა.

მასალა და მეთოდები

კვლევაში შესწავლილ იქნა მენოპაუზური 15 ქალის (ასაკი $52,4 \pm 9,7$ წწ.) ნაღვლის ბუშტის კენჭების მქონე სპექტრები. კენჭების მქონე სპექტრები რეგისტრირდებოდა რადიოსპექტრომეტრზე ESR-V (X-band) უზრუნველყოფილი ცილინდრული რეზონატორით (TM₁₁₀ mode) (მაღალი სიხშირის მაგნიტური ველის მოდულაცია 100 kHz, მიკროტალღური გამოსხივების სიმძლავრე 2 mW, მაღალი სიხშირის მოდულაცია 0.1 mT). მქონე სპექტრები იზომებოდა ოთახის ტემპერატურაზე. სტანდარტის სახით ვიყენებდით ფხენილს Mn²⁺MgO-ში.

მენოპაუზური ქალების სისხლში FSH-ს შემცველობას ესაზღვრავდით სტანდარტული მეთოდის მიხედვით.

შედეგები და მათი განხილვა

ცხრილში მოყვანილია მონაცემები მენოპაუზური ქალების ნაღვლის ბუშტის კენჭების ბილირუბინის მქონე სიგნალის ინტენსივობასა და სისხლში FSH-ს შემცველობას შორის დამოკიდებულების შესახებ.

ცხრილში მოყვანილი მონაცემებიდან გამომდინარეობს, რომ ყველა

შესწავლილი ქალის ნაღვლის ბუშტის კენჭების მკვლელობის მკვლელობის რეგისტრირდება ბილირუბინის მკვლელობის სიგნალი ($g = 2,003$, $\Delta H = 1,0$ მკგ). კორელაციური ანალიზის შედეგად გამოვლენილია უკუპროპორციული დამოკიდებულება ნაღვლის ბუშტის კენჭში ბილირუბინის მკვლელობის სიგნალის ინტენსივობასა და ქალების სისხლში FSH-ის შემცველობას შორის.

ცხრილი 1

მენოპაუზური ქალების ნაღვლის ბუშტის კენჭების ბილირუბინის მკვლელობის ინტენსივობა და სისხლში FSH-ს შემცველობა

ასაკი (წწ.)	Br (მმ/მგ)	FSH
53	0,9	122
49	1,4	46
62	0,8	86
59	0,4	127
53	10	9
67	1,1	30
31	3,1	11
46	3,0	35
60	2,6	39
51	1,8	33
60	1,1	43
59	1,3	44
55	1,2	45
70	0,4	84
73	0,4	130

მიღებული შედეგების ანალიზის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მენოპაუზური ქალებში გამოვლენილია უარყოფითი კორელაცია სისხლში FSH-ის დონისა და ნაღვლის ბუშტის კენჭებში ბილირუბინის თავისუფალი რადიკალების შემცველობას შორის. შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ პოსტმენოპაუზური ასაკის ქალებში FSH-ის დონის დაქვეითება მელატონინის სეკრეციის შემცირებას, ბილირუბინის დაუნგვას, ბილირუბინის თავისუფალი რადიკალების წარმოქმნას, ოქსიდაციური სტრესის ინტენსიფიკაციას და ნაღვლკენჭოვანი დაავადების განვითარებას უწყობს ხელს.

ლიტერატურა

1. Huang Wen-Yi, Gao Yu-Tang, Rashid Asif et al. Carcinogenesis, 2008, 29, 1, 100-105.

2. Koppiseti S., Jenigiri B., Terron M.P., Tengattini S. et al. Dig. Dis. Sci., 2008, 53 (10), 2592-2603.
3. Sloway R., Weinman S. Hepatology, 2000, 32, 3, 234.
4. Vakkuri, Aarre Kivelä, Juhani Leppäluoto, Maija Valtonen, Antti Kauppila. European Journal of Endocrinology, 1996, 135, 2, 188-192.

ЭПР ИССЛЕДОВАНИЕ КАМНЕЙ ЖЕЛЧНОГО ПУЗЫРЯ У ЖЕНЩИН В ВОЗРАСТЕ МЕНОПАУЗЫ

*М. Шенгелия, Э. Чикваидзе, М. Киладзе, Т. Саникидзе, Н.Н. Гогebaшвили,
Н. Гогebaшвили*

Тбилисский государственный медицинский университет;
Институт медицинской биотехнологии;

Тбилисский государственный медицинский университет им. И. Джавахишвили

РЕЗЮМЕ

Исследованы камни желчного пузыря у женщин в возрасте менопаузы (возраст $52,4 \pm 9,7$ лет). ЭПР спектры камней регистрировались на ЭПР спектрометре ESR-V. В спектрах ЭПР камней выявлены интенсивные сигналы окисленного билирубина ($g = 2,003$ и $\Delta H = 1,0$ мТл). Выявлена статистически достоверная отрицательная корреляция между интенсивностями сигнала билирубина и содержанием FSH в крови женщин.

Сделано заключение, что снижение уровня FSH в крови женщин постменопаузального возраста способствует понижению интенсивности секреции мелатонина, интенсификации окисления билирубина, окислительного стресса в организме и развитию желчнокаменной патологии.

EPR STUDY OF BILE STONES IN MENOPAUSAL WOMEN

*M. Shengelia, E. Chikvaidze, M. Kiladze, T. Sanikidze, N.N. Gogebashvili,
N. Gogebashvili*

Tbilisi State Medical University; Institute of Medical Biotechnology; I. Javakhishvili Tbilisi State University

SUMMARY

The aim of the study was the establishment of correlation between the concentration of the bilirubin in the bile stones and content of FSH in menopausal women's blood. The bile stones of 30 women aged 52.4 ± 9.7 year were studied (2 women with surgimenopause, 33-35 year). Stones EPR spectra registered on the EPR spectrometer ESR-V. In stones EPR spectra the intensive signal of oxidated bilirubine ($g = 2.003$, $\Delta H = 1.0$ mT) was revealed. The statistical importnt negative correlation was revealed between the content of bilirubine EPR signal intensity in the stones and content of FSH in blood of menopausal women.

It was concluded, that the decreasing of the level of FSH in blood of postmenopausal women decreases secretion of melatonin level, which by itself induces oxidation of bilirubine, initiation of oxidative stress and the development of bile stone disease in postmenopausal women.

ბავშვთა სპორტული პროფორიენტაციის პრიტიკრიუმები

დ. ჩიტაშვილი, ვ. ზუბიტაშვილი, ე. კორინთელი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

მიღებულია 29.11.2010

ნაშრომი მოიცავს 6-14 წლების ბავშვთა ფიზიკური თვისებების (ძალა, სისწრაფე, გამძლეობა) და ფუნქციური მაჩვენებლების ზრდის (პულსი, სუნთქვის სიხშირე, ფილტვების მოცულობა, არტერიული წნევა) დინამიკას ზოგადი ფიზიკური მომზადების და სპეციალური ფიზიკური ვარჯიშების პირობებში. აღნიშნული მაჩვენებლების ანალიზის საფუძველზე მწვრთნელებს ეძლევათ რეკომენდაციები სპორტული მომზადების დონის და სპორტული პროფორიენტაციის შესახებ.

საკვანძო სიტყვები: ფიზიკური თვისებები, ფუნქციური მაჩვენებლები, ზოგადი და სპეციალური მომზადება, მონაცემების დინამიკა, რეკომენდაციები

სპორტის ამა თუ იმ სახეობაში მეცადინეობის ეფექტურად წარმართვა და სასურველი შედეგის მიღწევა მნიშვნელოვანწილად არის დამოკიდებული თეორიულ-მეთოდური საფუძვლების დამუშავების ხარისხზე.

სპორტის თეორიისა და მეთოდის განვითარების თანამედროვე ეტაპზე სულ უფრო მკაფიოდ გამოიხატება ტენდენცია, რომლის თანახმად სპორტული წვრთნის საერთო კანონზომიერებების შესწავლასთან ერთად წარმოებს აგრეთვე ღრმა კომპლექსური გამოკვლევა სპორტის კონკრეტული სახეობისთვის დამახასიათებელი იმ სპეციფიკური კანონზომიერებებისა, რომლებიც მხოლოდ სპორტის ამ სახეობას წაადგება.

საწვრთნელი პროცესის მეცნიერულად ერთ-ერთ ყველაზე კარგად დამუშავებულ საკითხს წარმოადგენს ბავშვთა ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით მამოძრავებელი თვისებებისა და ფუნქციური მონაცემების განვითარება [1, 2, 3, 4, 6, 9]. მაგალითად, დადგენილია, რომ ბავშვებში გამძლეობის ფიზიკური თვისებების დამომუშავება არ მიაყენებს მათ ორგანიზმს ზიანს, თუ დაცული იქნება ფიზიკური ვარჯიშების დოზირება. დადგენილია, რომ უმცროსი ასაკის ბავშვებში გამძლეობაზე ვარჯიშის დროს სჭარბობს ქრონოტროპული მოვლენები, რაც გამოიხა-

ტება სისტოლური წნევის ნაკლებად ზრდაში, ხოლო ასაკის მომატებასთან ერთად შეინიშნება გულზე ინოტროპული გავლენა.

ცნობილია, რომ საწვრთნელი დატვირთვა გამძლეობაზე უკვე 8-კვირიანი ვარჯიშის შემდეგ იწვევს მუშაობისუნარიანობის მომატებას სასკოლო ასაკის ბავშვებში [1, 2, 4]. სტატიკური აერობული და დინამიკური გამძლეობის ასაკობრივი ცვლილებების შესწავლისას დადგინდა, რომ ეს მანევრებელი როგორც ბიჭებში, ასევე გოგონებში 10 წლამდე თანაბრად მატულობს, შემდგომ წლებში კი ის ბიჭებში სწრაფი ტემპით იზრდება.

კვლევაში, რომელიც მიძღვნილია სპეციალური გამძლეობისადმი, ნაჩვენებია, რომ ამ თვისების გამომუშავება კარგად მიმდინარეობს უკვე 6-7 წლის ბავშვებში [1, 2, 10]. დადგენილია აგრეთვე, რომ ბავშვები ყოველგვარი გვერდითი მოვლენების გარეშე კარგად იტანენ ისეთ წვრთნას, სადაც აქცივტი გადატანილია სწრაფძალისმიერი ვარჯიშების გამოყენებაზე [9]. რიგი შრომებით დადგენილია, რომ წვრთნის შედეგად უმჯობესდება ბავშვების მოძრაობითი ფუნქცია – უკეთესი მონაცემები გააჩნიათ იმ ბავშვებს, რომლებიც სისტემატურად მისდევენ ფიზიკურ ვარჯიშებს [5].

რიგი ავტორების შრომები [6] ეხება ძალისმიერი და სწრაფძალისმიერი ხასიათის სასწავლო-საწვრთნო ვარჯიშების შედეგად განვითარებულ ფუნქციურ შესაძლებლობებს. ამ გამოკვლევებში ნაჩვენებია, რომ სწრაფძალისმიერი ფიზიკური თვისებების განვითარება ბავშვებში არათანაბრად მიმდინარეობს. გამოთქმულია მოსაზრება, რომ ფიზიკური ძალის განვითარებისთვის ყველაზე კარგი ასაკი არის 9-13 წლები. ამ ასაკში საწვრთნელ მეცადინეობებზე 5-8 წუთიანი სწრაფძალისმიერი ვარჯიშების ჩატარება იწვევს ამ თვისებების ამაღლებას. უმცროსი ასაკის სასკოლო ბიჭებსა და გოგონებს შორის ძალისმიერი მანევრებლების მიხედვით გამოხატული სხვაობა არ შეინიშნება. სხვადასხვა მეთოდების გამოყენება საშუალებას იძლევა მრავალმხრივ შეაფასოს ვარჯიშების მოქმედება მოზარდთა ორგანიზმზე. ყველა მიღებული მონაცემი მეტყველებს მათი ფიზიკური აღზრდის სისტემის დახვეწის აუცილებლობაზე [1, 2, 4].

უკანასკნელ წლებში სპორტული მეცნიერების ერთ-ერთ ძირითად მიმართულებად ჩამოყალიბდა უმცროსი ასაკის ბავშვებში სპორტული პროფორიენტაციის საკითხები. ზოგიერთი მედიკო-ბიოლოგიური პროფილის გამოკვლევები იძლევა საშუალებას ფიზიოლოგიური მანევრებლების მეშვეობით გამოვავლინოთ ბავშვის ბუნებრივი მონაცემები სპორტის ამა თუ იმ სახეობაში ვარჯიშისთვის. გარკვეულია, რომ გენეტიკურ ფაქტორებთან ერთად დიდი მნიშვნელობა აქვს გარემო პირობებსაც. გარკვეულია ისიც, რომ სპორტის ცალკეული სახეობის მიმართ გაკეთებული პროგნოზი შეიძლება სხვა სახეობისთვის სრულიად მიუღებელი გამოდგეს.

ზემოაღწერილი საკითხები და ჩვენს ხელთ არსებული ლიტერატურის წყაროები სრულყოფილად არ გვაძლევს საბოლოო დასკვნების გამოტანისა და სპორტული პროფორიენტაციის ეფექტური გადაწყვეტის საშუალებას.

კვლევის მიზანს შეადგენდა განსხვავებული მეთოდების გამოყენებით შეგვესწავლა სხვადასხვა ასაკის გაწვრთნილობის სპორტსმენ ბავშვთა ორგანიზმის ფიზიკური თვისებების და ფუნქციური უზრუნველყოფის

დინამიკა მოსვენებულ მდგომარეობაში და ფიზიკური ვარჯიშების შემდეგ. მიღებული მონაცემების საფუძველზე ყველა ასაკის ჯგუფის ბავშვებიდან მოხდება პერსპექტიული ფიზიკური თვისებების და ფუნქციური მონაცემების მქონე მოზარდების შერჩევა და მწვრთნელის აზრის გათვალისწინებასთან ერთად გაკეთდება ახალი, განსხვავებული სასწავლო-საწვრთნო გეგმა. დანარჩენი სპორტსმენები განაგრძობენ ვარჯიშს მათთვის წინასწარ შედგენილი სავარჯიშო გეგმის მიხედვით.

მასალა და მეთოდები

დაკვირვებების შერჩევისას გათვალისწინებულ უნდა იქნას შემდეგი: 1) დაკვირვება უნდა ტარდებოდეს ისეთ გარემოში, რომელიც მაქსიმალურად მიახლოებულია ვარჯიშის ბუნებრივ პირობებთან; 2) დაკვირვება ხელს არ უნდა უშლიდეს ვარჯიშის შესრულებას; 3) დაკვირვების შედეგი, შეძლებისდაგვარად, სპორტსმენებისთვის ვარჯიშის დამთავრებისთანავე უნდა იყოს ცნობილი, რათა ამ შედეგების შესაბამისად მოხდეს ფიზიკური დატვირთვის სხვადასხვა პარამეტრების კორექტირება; 4) სასურველია დაკვირვების პროცესში გამოირიცხოს ხელის შემშლელი ფაქტორები.

საქართველოს სხვადასხვა ქალაქებში: თელავში, ყვარელში, გორში, დუშეთსა და თბილისში დაკვირვებები ტარდებოდა 6-7, 8-10, 11-13 და 14-16 წლის ბავშვებზე. მათ შორის იყო: ზოგადი ფიზიკური მომზადების სპორტული სკოლის (6-7 წწ.) 500 და სპეციალური მომზადების (8-16 წწ.) 300 ძიუდოსტი ბავშვი.

ზოგადი ფიზიკური მომზადების სპორტული სკოლის მოზარდებზე დაკვირვებები ტარდებოდა 4 წლის, ხოლო ძიუდოს სპორტული სკოლის ბავშვებზე ერთი წლის განმავლობაში.

დაკვირვებების ყველა ეტაპზე აღებულ იქნა საწყისი და ბოლო მანევრებზე ფიზიკური თვისებების (ძალა, სისწრაფე, გამძლეობა) და ფუნქციური (პულსი, არტერიული წნევა, ფილტვების სასიცოცხლო ტევალობა, სუნთქვის სიხშირე) უზრუნველყოფის მიხედვით.

ფიზიკური თვისებებიდან ხელისა და წელის კუნთების ძალის განსაზღვრა ხდებოდა სპეციალური დინამომეტრებით. სისწრაფის ფიზიკური თვისებები შეისწავლებოდა 30 და 60 მეტრზე სირბილის პირობებში, ხოლო გამძლეობა - 300 მეტრზე სირბილისას. ფუნქციური მანევრებებიდან გულის ცემის სიხშირე განისაზღვრებოდა შვეიცარიული კომპანია Microlife-ის ბოლო თაობის წნევისა და პულსის საზომი აპარატის გამოყენებით.

არტერიული წნევა იზომებოდა კოროტკოვის მეთოდით, ფილტვების მოცულობა - მშრალი სპირომეტრის საშუალებით, სუნთქვის სიხშირე - ნახევარი წუთის ხანგრძლივობით.

შედეგები და მათი განხილვა

ზოგადი ფიზიკური მომზადების სპორტული სკოლის მოსწავლეებზე ოთხწლიანმა დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ ყოველი მომდევნო შემოწმებისას

ორივე სქესის ბავშვთა ფუნქციური მონაცემებიდან გულის ცემის და სუნთქვის სიხშირე თანდათანობით კლებულობს, განსაკუთრებით გოგონებში, ხოლო ოთხწლიანი ვარჯიშის ბოლოს ვაჟების და გოგონების გულის ცემის სიხშირე არსებითად აღარ განსხვავდება ერთმანეთისგან. ასეთივე სურათი აქვს სუნთქვის სიხშირის ცვლილების ხასიათსაც. დაკვირვებებმა გვიჩვენა, რომ ფიზიკური ვარჯიში განსაკუთრებით უწყობს ხელს ფილტვების სასიცოცხლო ტევადობის გაუმჯობესებას. ასე, მაგალითად, თუ ვარჯიშის დაწყების პირველ ეტაპზე მოსვენებულ მდგომარეობაში საშუალო მონაცემები შეადგენდა 1170 სმ³-ს, ხუთთვიანი ფიზიკური ვარჯიშის შედეგად იგი გაიზარდა 175 სმ³-ით. ანალოგიური ცვლილებები მივიღეთ ხელისა და წელის კუნთების ძალის მომატების მხრივ, რომელიც საწვრთნო წლების მიხედვით თავისებურ ხასიათს ატარებს (ცხრილი 1).

ცხრილი 1

მაჩვენებლები	დაკვირვებები						
	ფონი	პირველი წელი		მეორე წელი		მესამე წელი	
		1	2	1	2	1	2
გულის ცემის სიხშირე (1/წთ)	98	88	84	80	78	76	74
სუნთქვის სიხშირე (1/წთ)	27	25	23	23	22	21	20
ფილტვების ტევადობა (სმ ³)	1200	1210	1340	1550	1670	1790	1860
ხელის ძალა (კგ)	-	13,1	15,2	18,8	19,5	1,1	22,6
წელის ძალა (კგ)	-	40	45	48	53	55	59


როგორც ცხრილიდან ჩანს, წლების მიხედვით ყველა მონაცემი მეტ-ნაკლები მაჩვენებლებით ცვლილებას განიცდის.

პირველი წლის ვარჯიშის შემდეგ ვაჟებში ხელის ძალა ფონურ მონაცემებთან შედარებით გაიზარდა 11,6%-ით, მეორე წლის ბოლოს - 10,4%-ით და მესამე წლის ბოლოს - 10,7%-ით.


ანალოგიურ ცვლილებებს განიცდის წელის კუნთების მაჩვენებელი. მისი ზრდა პირველ წელს მოხდა 11,2%-ით, მეორე წელს - 11%-ით, მესამე წელს კი - 10,7%-ით. წლების მიხედვით ასევე გაიზარდა ფილტვების ვენტილაცია, შესაბამისად: 11,7%, 10,8% და 10,5%-ით.

რაც შეეხება გულის ცემისა და სუნთქვის სიხშირის გაიშვიათებას - გულის ცემის სიხშირის შემცირება პირველ წელს მოხდა 4,6%-ით, მეორე წელს - 2,5%-ით, და მესამე წელს - 2,7%-ით. შესაბამისად იშვიათდება სუნთქვის სიხშირე - 7,5%, 4,4% და 4,8%-ით.

პირველ და მეორე სურათებზე მოცემულია 8-10 და 11-13 წლის ძიუდოსტების წელის ძალის მაჩვენებლები მოსვენებულ მდგომარეობაში და კუნთოვანი მუშაობის შემდეგ წონითი კატეგორიების მიხედვით.




სურ. 1. 8-10 წლის ბავშვთა წელის ძალის მონაცემები




სურ. 2. 11-13 წლის ბავშვთა წელის ძალის მონაცემები

როგორც სურათებიდან ჩანს, გამოიკვეთა ორი კანონზომიერი პროცესი: 1) როგორც წესი, ფიზიკური დატვირთვის შემდეგ ყველა ასაკსა და წონით კატეგორიაში შესამჩნევად ჩანს წელის კუნთების ძალის მომატება და ეს მატება ამ ასაკის ბავშვებში მერყეობს 8,6%-დან 10%-ის ფარგლებში; 2) რაც შეეხება ზოგადი ფიზიკური მომზადების ბავშვებს (ცხრილი 1), მათთან წელის კუნთების ძალის მატების პროცენტული მანქვნებლები შედარებით უკეთესია და სამწლიანი უწყვეტი ვარჯიშის ფონზე ყოველწლიურად იზრდება 10,7%-დან 11,2%-მდე.



სურ. 3. 8-10 წლის ბავშვების ფილტვების სასიცოცხლო ტევადობა ლიტრებში



11-13 წლის ბავშვების ფილტვების სასიცოცხლო ტევადობა ლიტრებში

ანალოგიური სურათი იქნა მიღებული იმავე ცდის პირებზე ფილტვების სასიცოცხლო ტევადობის მიხედვით (სურ. 3-4), რომელიც მეტყველებს სამოძრაო აპარატის მჭიდრო კავშირურთიერთობაზე სუნთქვაში მონაწილე კუნთებთან.

დასკვნები

ზოგადი და სპეციალური მომზადების ბავშვებზე ჩატარებულმა კვლევებმა გვიჩვენა, რომ ფიზიკური ვარჯიშების შედეგად უმჯობესდება

ორგანიზმის ფუნქციური მანევრებლები და ფიზიკური თვისებები, მათ შორის ყალიბდება ზოგადი და სპეციალური უნარ-ჩვევები.

ზოგადია ის, რომ როგორც ერთი, ისე მეორე სახის ფიზიკური ვარჯიშები ორგანიზმში იწვევს შესაბამის ცვლილებებს, რომელიც დაკავშირებულია საწვრთნო პროცესის სპეციფიკასთან.

ჩვენი კვლევის მიზნიდან გამომდინარე – დაეხმარებოდით სპეციალისტებს და სპორტსმენებს ადრეული ასაკიდან სპორტული პროფორიენტაციის სწორად განსაზღვრაში – მიღებული მონაცემების საფუძველზე ვრწმუნდებით, რომ ვარჯიშის დაწყებამდე უკეთესია მოზარდი ადრეულ ასაკში ერთი ან ორი წლის განმავლობაში ემზადებოდეს ზოგადი ფიზიკური მომზადების საშუალებებით და 8-10 წლიდან დაიწყოს სპორტის რომელიმე სახეში სპეციალური მომზადება.

ფუნქციურ და ფიზიკურ თვისებებს შორის მჭიდრო კავშირი რომ არსებობს, ჩვენი დაკვირვებითაც დასტურდება. თუ გულის ცემისა და სუნთქვის სიხშირე ისევე, როგორც არტერიული წნევა ფიზიკური ვარჯიშების შედეგად დაქვეითების ტენდენციას ატარებს – ფიზიკური თვისებები და ფილტვების სასიცოცხლო ტევადობა ზრდადობით მიმდინარეობს და რაც უფრო მეტია ზოგადი ფიზიკური ვარჯიშების გამოყენების კოეფიციენტი ადრეულ ასაკში, მით მეტია მოგვიანებით სპეციალურ მომზადებაში უკეთესი მანევრებლების მიღწევის შესაძლებლობა.

ჩატარებული კვლევის შედეგებმა მწვრთნელებისა და სპორტსმენებისადმი ისეთი სახის რეკომენდაციების მიცემის შესაძლებლობა მოგვცა, რომელთა გათვალისწინებაც აუცილებელია სპორტული პროფორიენტაციის პრობლემის ეფექტური გადაწყვეტისთვის. კვლევის შედეგებზე დაყრდნობით უნდა ითქვას, რომ აუცილებელია ვარჯიშის დაწყები მოზარდის მიერ არჩეული სპორტის სახეობის სწორად შერჩევა და იმის გათვალისწინება, თუ რამდენად პასუხობს მისი ორგანიზმის შესაძლებლობა სპორტის არჩეულ სახეობაში წარმატების მისაღწევად საჭირო მოთხოვნებს. ამასთან, საწვრთნელი ვარჯიშების პირობებში უნდა მოხდეს ფიზიკური თვისებებისა და ფუნქციური მანევრებლების სისტემური შემოწმება და აქედან გამომდინარე, განხორციელდეს ფიზიკური დატვირთვისა და აღდგენით საშუალებებში კორეგირების შეტანა.

ლიტერატურა

1. ჩიკაშვილი დ.მ. სპორტსმენთა კარდიო-რესპირატორული და საყრდენ-მამოძრავებელი სისტემის ანალიზი ფიზიკური დატვირთვის პირობებში. სადოქტორო დისერტაციის ავტორეფერატი, თბ.: 1996, გვ. 1-24.
2. რაზმაძე კ.ხ. ფიზიკური თვისებების და ფუნქციური მანევრებლების კორელაცია – პედაგოგიური კონტროლის ძირითადი საშუალება. საკანდიდატო დისერტაციის ავტორეფერატი, თბ.: 2006, გვ. 5-34.
3. Какиашвили Л.О. Сборник научных трудов Академии профилактической медицины Грузии, 2006, 3, 211-214.

4. *Коринтели Е.Н.* Динамика функциональных показателей юных спортсменов (6-9 лет), тренирующихся с направленностью на общую физическую подготовку. Автореф. канд. биол. наук, Тбилиси, 1991, с. 1-24.
5. *Масальгин Н.А., Мануилов С.Н.* Теор. и практ. физич. культуры, 1988, 9, 25-26.
6. *Филин В.П.* Теория и методика юношеского спорта. Москва, Из-во "Физкультура и спорт", 1987.
7. *Hoffor A.C., Harrison A.C., Kirk P.A.* Sports Med. Phys. Fitness, 1990, 30, 1, 53-56.
8. *Krahnbuhe G.S., Morgan D.W., Pangzazi B.P.* Int. J. Sports Med., 1989, 10, 2, 92-96.
9. *Mahon A.D., Vaccaro P.* Med. Sci. Sports Exerc., 1989, 21, 4, 425-431.
10. *Martin B.J., Chen H.L.* Int. J. Sports Med., 1982, 3, 2, 100-104.

КРИТЕРИИ СПОРТИВНОЙ ПРОФОРИЕНТАЦИИ ДЕТЕЙ

Д. Читашвили, Г. Зубиташвили, Е. Коринтели

Государственный университет Ильи

РЕЗЮМЕ

Работа включает информацию о физических способностях (сила, скорость, выносливость) и функциональных системах (пульс, дыхательная норма, приблизительная способность легкого и кровяное давление) 6-14-летних детей и динамике общего физического обучения и специальных физических упражнений.

Результаты исследования могут оказать определенную помощь тренерам в детских спортивных организациях.

THE CRITERIA OF SPORT PROFESSIONAL ORIENTATION IN CHILDREN

D. Chitashvili, G. Zubitashvili, E. Korinteli

Iliia State University

SUMMARY

The work includes the information about 6-14 years old children's physical abilities (strength, speed, endurance) and functional systems (pulse, respiratory rate, lung capacity and blood pressure) and the dynamics of general physical training and special physical exercises.

The information received after our research will be used for giving the recommendations to coaches.

ფილტვის სონოგრაფული კვლევის მნიშვნელობა გულის უკმარისობის დიაგნოსტიკაში

დ. წვერავა (უმცროსი), მ. წვერავა

პ. შოთაძის სახ. თბილისის სამედიცინო აკადემია

მიღებულია 03.12.2010

შესწავლილია სხვადასხვა მიზეზებით გამოწვეული გულის შეგუბებითი უკმარისობის (ბუ) მქონე, არანამკურნალები 380 ავადმყოფი (I ჯგუფი), საშუალო ასაკით 63,3 ± 11,2 წელი, და 155 პირი, რომელთაც არ ჰქონდათ ბუ და ფილტვის მწვავე ან ქრონიკული დაავადებები (II ჯგუფი), საშუალო ასაკით 61,9 ± 12,4 წელი. ყველა ავადმყოფს ჩაუტარდა სრული ექოკარდიოგრაფული და გულმკერდის რენტგენოგრაფული გამოკვლევა. გულმკერდის სონოგრაფულ კვლევას ვატარებდით პაციენტის ზურგზე მწოლიარე ან მჯდომარე მდგომარეობაში გულმკერდის ზედაპირის 10 წერტილიდან. ფილტვის სონოგრაფული კვლევის დროს ბუ-ს მქონე ავადმყოფებთან სარწმუნოდ უფრო ხშირად ვლინდებოდა “კომეტის კუდის” ფენომენი. “კომეტის კუდი” I ჯგუფში გამოვლინდა ავადმყოფთა 95,53%-ს, II ჯგუფში კი – მხოლოდ ავადმყოფთა 35,48%-ს ($p < 0,001$). “კომეტის კუდის” რეგისტრაციის წერტილების რაოდენობა ბუ-ს მქონე პაციენტების უმრავლესობაში აღემატებოდა 3-ს მაშინ, როდესაც საკონტროლო ჯგუფში 3 ან ნაკლები წერტილი იყო. გულმკერდის სონოგრაფიაზე კომეტის რეგისტრაციების წერტილების რაოდენობა 4 და > ნიშნის მგრძობელობა ბუ-ს დიაგნოსტიკაში 0,882, სპეციფიკურობა კი – 0,987-ია. არანამკურნალები გულის უკმარისობის მქონე პაციენტებში გულმკერდის სონოგრაფული კვლევის დროს სარწმუნოდ ხშირად ფიქსირდება “კომეტის კუდის” ფენომენი; “კომეტის კუდის” ფენომენის გამოვლენა ჩვენ მიერ მოწოდებული სონოგრაფიის რეგისტრაციის 4 და მეტი წერტილიდან გულის უკმარისობის მგრძობეობაზე და სპეციფიკური ნიშანია.

საკვანძო სიტყვები: გულის უკმარისობა, ფილტვის სონოგრაფია, დიაგნოსტიკა

გულის უკმარისობა (ბუ) თანამედროვე კარდიოლოგიის უმნიშვნელოვანეს პრობლემას წარმოადგენს. დღეისთვის 5 მილიონამდე ამერიკელი და 10 მილიონი ევროპელი შეპყრობილია ამ სენით [1, 2]. პოსპიტალშიდა სიკვდილობა გულის უკმარისობის დროს 4-8%-ია, საავადმყოფოდან გაწერის შემდეგ 3 თვის განმავლობაში სიკვდილობა 8-15%-ს აღწევს [3, 4]. გამოვლენის შემდეგ ბუ ჩვეულებრივ პროგრესირებს და არასახარბიელო ცხოვრების ხარისხითა და პროგნოზით ხასიათდება [4].

სითხის შეგუბება ბუ-ს ყველაზე პათოგენიური გამოვლენაა, ის დეკომპენსაციის დროს განვითარებული მანიკური წრის ნაწილია და ბუ-ს სიმპტომური გამოაშკარავების მთავარი მიზეზია. ბუ-ს მართვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიზანი სითხის შეკავების გამოვლენა და მისი ხარისხის დადგენაა [5]. ბუ მაღალი პიდროსტატიკული წნევით გამოწვეული ფილტვის შეშუპება/შეგუბების (შშ) ძირითადი მიზეზია. ის მარცხენა პარკუჭის ავსების წნევის მომატების, ორგანიზმში სითხის შეკავებისა და მისი გადანაწილების შედეგია. შშ ბუ-ს სიცოცხლისთვის საშიში გართულება და პაციენტის პოსტიტალიზაციის ყველაზე ხშირი მიზეზია [6, 7]. შშ-ს კლინიკური ნიშნების გამოვლენა სავარაუდო ცუდ გამოსავალზე მიუთითებს. ამ დროს პოსტიტალური სიკვდილობა მაღალია და 12-20% აღწევს [8, 9].

შშ-ს სადიაგნოზოდ ტრადიციულად გამოიყენება ფიზიკალური და გულმკერდის რენტგენოგრაფული კვლევა. მისი კლინიკური ნიშნები არახუსტია და ხშირად ამ მდგომარეობის პიპერ- ან პიპოლიავნოსტიკის მიზეზი ხდება [10-13]. გულმკერდის რენტგენოგრაფია კარდიოგენური შშ-ს ძირითადი სადიაგნოზო მეთოდია. ამ დროს რენტგენოლოგიური ცვლილებები დამოკიდებულია შეგუბების ხარისხსა და მისი განვითარების სინქარესზე. რენტგენოგრამის ინტერპრეტაცია სუბიექტურია, ინტერსტიციული შეშუპების ნიშნების გამოვლენა ავადმყოფის საწოლთან გადაღებულ რენტგენოგრამაზე რთულია და ზოგჯერ შეუძლებელიც კი. თანმხლები სასუნთქი სისტემის დაავადებები კი მნიშვნელოვნად ართულებს რენტგენოგრამის ინტერპრეტაციას [14].

სონოგრაფია პლევრაში სითხის გამოვლენის მგრძობიარე და სპეციფიკური მეთოდია [15]. მაგრამ ის იშვიათად იხმარება ფილტვის პარენქიმული დაავადებების სადიაგნოზოდ. ბოლო დროს ჩატარებულმა კვლევებმა გამოავლინა სონოგრაფიის ეფექტურობა ფილტვის ინფექციური და არაინფექციური დაავადებების, თრომბოემბოლიის, სიმსივნეების და პნევმოთორაქსის დიაგნოსტიკაში [16-21].

ჩვენი კვლევის მიზანი იყო ფილტვის ულტრასონოგრაფიის ეფექტურობის დადგენა გულის უკმარისობის დიაგნოსტიკაში.

მასალა და მეთოდები

შევისწავლეთ სხვადასხვა მიზეზებით გამოწვეული ბუ-ს მქონე, არანამკურნალები 380 ავადმყოფი (I ჯგუფი), საშუალო ასაკით $63,3 \pm 11,2$ წელი, (მამაკაცი - 228, ქალი - 152), და 155 პირი, რომელთაც არ ჰქონდათ ბუ და ფილტვის მწვავე ან ქრონიკული დაავადებები (II ჯგუფი), საშუალო ასაკით $61,9 \pm 12,4$ წელი (მამაკაცი - 93, ქალი - 62). ყველა ავადმყოფს ჩაუტარდა სრული ექოკარდიოგრაფული, გულმკერდის რენტგენოგრაფული და გულმკერდის სონოგრაფული კვლევა.

გულმკერდის სონოგრაფულ კვლევას ვატარებდით პაციენტის ზურგზე მწოლიარე ან მჯდომარე მდგომარეობაში გულმკერდის ზედაპირის 10 წერტილიდან (II ნექნთაშუა სივრცის გადაკვეთაზე მარჯვენა და მარცხენა

მედიოკლავიკულურ ხაზთან, IV ნეკნაშუა სივრცის გადაკვეთაზე მარჯვენა და მარცხენა მედიოკლავიკულურ და წინა აქსილარულ ხაზებთან, VI ნეკნაშუა სივრცის გადაკვეთაზე მარჯვენა და მარცხენა მედიოკლავიკულურ და წინა აქსილარულ ხაზებთან), რომლებიც შეესაბამებოდა მარჯვენა ფილტვის ზედა, შუა და ქვემო წილებს და მარცხენა ფილტვის ზედა და ქვემო წილებს. კვლევა წარმოებდა ჩვეულებრივი და ფორსირებული სუნთქვის დროს. ფასდებოდა სითხის არსებობა პლევრის ღრუში და ფილტვის პარენქიმის სონოგრაფული სურათი.

რენტგენოლოგიური მონაცემების საფუძველზე ვადგენდით ფილტვის შეგუბების სამ ხარისხს: მცირე წრის სისხლის მიმოქცევის ცეფალიზაცია, ინტერსტიციული შეშუპება და ალვეოლური შეშუპება.

მძოკბ-ს ანალიზი ხდებოდა ამერიკის ექოკარდიოგრაფიის ასოციაციის რეკომენდაციების გათვალისწინებით. მარცხენა პარკუჭის სისტოლურ ფუნქციას ვთვლიდით ნორმალურად, თუ განდევნის ფრაქცია 50% ან მეტი იყო. მარცხენა და მარჯვენა პარკუჭების დიასტოლურ ფუნქციას ვსაზღვრავდით ატრიოვენტრიკულური ნაკადის დოპლეროგრაფიის, ქსოვილოვანი დოპლეროგრაფიისა და ფერადი M-რეჟიმის მონაცემებზე დაყრდნობით. ვარჩევდით დიასტოლური ფუნქციის შემდეგ ვარიანტებს: ნორმალური, რელაქსაციის შეფერხება, ფსევდონორმალური და რესტრიქციული.

გულის დიასტოლური უკმარისობის დიაგნოზი დგინდებოდა იმ შემთხვევაში, თუ:

- სინუსური რიტმის მქონე პირთან მარცხენა პარკუჭის განდევნის ფრაქცია ტოლი იყო ან აღემატებოდა 50%-ს, და ამავე დროს აღინიშნებოდა მარცხენა პარკუჭის დიასტოლური დისფუნქციის ექოდოპლეროგრაფული ნიშნები;
- მოციმციმე არითმიის დროს მარცხენა პარკუჭის განდევნის ფრაქცია ტოლი იყო ან აღემატებოდა 50%-ს.

მასალა დამუშავებული იყო სტატისტიკურად. ვითვლიდით მონაცემთა საშუალოსა და საშუალო კვადრატულ გადახრას. მონაცემთა შედარების დროს ვიყენებდით სტიუდენტის ტესტს და χ^2 -ის განსაზღვრას. ნიშნების სადიაგნოზო ღირებულებას ვაფასებდით მგრძობებლობის, სპეციფიკურობის, დადებითი და უარყოფითი პრედიქტულობისა და სიზუსტის გამოთვლით.

შედეგები და მათი განხილვა

I ჯგუფის ავადმყოფებში ბუ გამოწვეული იყო დილატაციური და იშემიური კარდიოპათიით, გადატანილი მიოკარდიუმის ინფარქტით, არტერიული ჰიპერტენზიით, მიტრალური და აორტული მანკებით. ჩვენ მიერ შესწავლილ ავადმყოფთა კლინიკური და ინსტრუმენტული კვლევის მონაცემები მოყვანილია ცხრილში I.

ბუ მქონე პაციენტთა ჯგუფში I-II ფუნქციური კლასი NYHA-ს კლასიფიკაციის მიხედვით ჰქონდა 75 ავადმყოფს (19%), III ფუნქციური კლასი - 200-ს (52,6%), IV- 105-ს (27,6%). მოციმციმე არითმია I ჯგუფში გამოუვლინდა 105 ავადმყოფს (27,8%), II ჯგუფში კი - მხოლოდ 3-ს (1,9%).

შესწავლილი ავადმყოფების ზოგიერთი კლინიკური და
ექოკარდიოგრაფული მონაცემი

მაჩვენებელი	I ჯგუფი	II ჯგუფი	p <
მამაკაცი	228 (60%)	93 (60%)	ns
ქალი	152 (40%)	62 (40%)	ns
ავადმყოფთა ასაკი	63,3 ± 11,2	61,9 ± 12,0	ns
მოციმციმე არითმია	106 (27,8%)	3 (1,9%)	< 0,001
გულის უკმარისობის ფუნქციური კლასი (NYHA)			
I-II კლასი	75 (19,7%)	0	
III კლასი	200 (52,6%)	0	
IV კლასი	105 (27,6%)	0	
დიასტოლური დისფუნქციის კლასი:			
